

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მაია ჩქოტუა

**ფრაზეოლოგიაზე მუშაობის პრობლემა
ინგლისური ენის სწავლებისას
(სამეცნიერო ფაქულტეტებზე)**



მონოგრაფია წარმოადგენს ავტორის მი-
ერ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში და-
ცული სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო
კვლევის შედეგებს.

დამტკიცებულია თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და
პედაგოგიური ფაკულტეტების ერთობლივი სა-
დისერტაციო საბჭოს მიერ.

თელავი 2008.

მონოგრაფია რეკომენდებულია შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის, მაგისტრანტებისთვის და დოქტორანტებისთვის

მაია ჩქოტუა

ფრაზეოლოგიაზე მუშაობის პრობლემა
ინგლისური ენის სწავლებისას
(სპეციალურ ფაკულტეტებზე)

Maia Chqotua

PROBLEM OF TEACHING PHRASEOLOGY IN ENGLISH
LANGUAGE
(SPECIAL FACULTIES)

სამეცნიერო ზეღმძღვანელი:

ნათელა დოლონაძე
სრული პროფესორი

რეცენზენტები:

მანანა ღარიბაშვილი
ასოცირებული პროფესორი,
ირა დანელია
ასოცირებული პროფესორი

რედაქტორი:

იზო სემიკინა

© მ. ჩქოტუა, 2008

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-517-1

Summary

Development of lexical skills in terms of secondary school basically happens at the level of using isolated words and free phrases existing in spoken language. At a high level of teaching (on the lingual direction of the Faculty of Humanities) basic means of increasing foreign language learner vocabulary is learning phraseological or idiomatical phrases during teaching reading. The aim of teaching foreign language at the Faculties of Humanities is reaching "native-like competence". The authenticity of language is expressed not only with its correctness but also with colourful equivalences that are used by "native speaker". This is just reflected in the phraseology of the language. A lot of linguistic researches are dedicated to the problems of phraseology, but this issue, practically has not been studied deeply by the viewpoint of phraseology teaching methods.

The aim of monograph is essential improvement of communication quality in English by working hard on phraseology.

From here the following tasks can be designated:

Establishing pedagogically adequate definition of phraseology in linguistic aspect; defining basic types of phraseological units; selecting phraseology for teaching reasons; establishing principles of organization and usage of phraseology.

In methodical aspect, collaborating the ways of phraseology presentation; the system of exercises and assignments; defining the stages of teaching phraseology.

The method of working on phraseological units is collaborated in the monograph in bounds of several subjects provided by the educational course in the lingual direction of the Faculty of Humanities.

Theoretical value of the monograph is defined by working out contemporary methods and effective ways of teaching phraseology constructed on linguistic data, compiling proper exercise system, creating-realizing its teaching methods and choosing phraseology.

Practical value of the work is the effective teaching methodology worked out by us, practical materials and recommendations depended on it, which will help the teachers working in the lingual direction to provide teaching process better.

Monograph is dedicated to phraseology teaching. Phraseologies are high informational units of language; it is one of the universal attributes of language, because the latter does not exist without phraseology. English phraseology is very rich and has century-old history (A.V. Kunin 1970, p.6).

It's clear that phraseology is difficult phenomenon, teaching of which needs its own investigation method, also using data of other sciences, such as: lexicology, lexicography, grammar, stylistics, phonetics, logics, and country specific studies. There are not practically any theoretical investigations in Western European and American linguistic literature, that are dedicated to phraseology teaching, though important phraseological material is found in numerous vocabularies and reference books. Basically, phraseology issues are discussed in grammar, stylistic works, lexicography, language history and general linguistic literature. The issue of phraseology, as independent linguistic discipline, has not been arisen by western scientists. This is explained by non-existence of the term for this discipline in english language.

Phraseology is the treasure of language. The history of nation, its life and cultural peculiarities are found in phraseology. They often bear clear national character (for example: baker's dozen). Beside pure national phraseologies there are found numerous international idioms (a banana republic, an Alladin's cave). Among international phraseology many are of Biblical origin.

In the first chapter of monograph linguistic and psychological principles of teaching phraseology is discussed, but in the second chapter methodical and pedagogical principles of lexical aspect while teaching reading.

ზოგადსაგანმანათლებლო სრული საშუალო სკოლის პირობებში ლექსიკური უნარ-ჩვევების განვითარება ხდება, ძირითადად, ზეპირმეტყველებაში არსებული იზოლირებული სიტყვებისა და თავისუფალი შესიტყვებების გამოყენების დონეზე. სწავლების მაღალ საფეხურზე (პუმანიტარული ფაკულტეტის ენობრივ მიმართულებაზე) უცხოური ენის შემსწავლელის ლექსიკის გამდიდრების ძირითადი საშუალებაა კითხვის სწავლებისას ფრაზეოლოგიური, ანუ იდიომატური შესიტყვებების შესწავლა. პუმანიტარულ ფაკულტეტებზე უცხოური ენის სწავლების მიზანია „მშობლიური ენის ფლობის მსგავსი კომპეტენციის“ (native-like competence) მიღწევა. ენის ავთენტიკურობა გამოიხატება არა მარტო მის გამართულობა-კორექტულობით, არამედ ენის იმ კოლორიტული შესატყვისობებითაც, რომელთაც „ენის მატარებელი“ (native speaker) იყენებს. ეს კოლორიტი კი სწორედ ენის ფრაზეოლოგიაშია ასახული. მართალია, ფრაზეოლოგიის პრობლემებს მრავალი ლინგვისტური გამოკვლევა ეძღვნება, მაგრამ ეს საკითხი, პრაქტიკულად, არ ყოფილა აქამდე დრმად შესწავლილი ფრაზეოლოგიის სწავლების მეთოდის თვალისაზრისით.

მონოგრაფიის მიზანია ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის ხარისხის არსებითად გაუმჯობესება ფრაზეოლოგიაზე გულდასმით მუშაობის გზით.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს შემდეგი ამოცანები:

ლინგვისტურ ასპექტში ფრაზეოლოგიის პედაგოგიურად ადეკვატური დეფინიციის დადგენა; ფრაზეოლოგიური ერთეულების ძირითადი ტიპების დაზუსტება; სასწავლო მიზნებით ფრაზეოლოგიის შერჩევა, ასევე, შესასწავლად და გამოსაყენებლად ფრაზეოლოგიის ორგანიზების პრინციპების დადგენა;

მეთოდურ ასპექტში კი ფრაზეოლოგიის პრეზენტაციის გზების, სავარჯიშოთა და დავალებების სისტემე-

ბის შემუშავება; ფრაზეოლოგიის სწავლების ეტაპების განსაზღვრა-გამოკვეთა.

მონოგრაფიაში შემუშავებულია ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე მუშაობის მეთოდოლოგია პუმანიტარული ფაქულტეტის ენობრივი მიმართულების სასწავლო კურსში გათვალისწინებული რამდენიმე სასწავლო საგნის ფარგლებში.

მონოგრაფიის თეორიული ღირებულება განისაზღვრება ლინგვისტიკის მონაცემებზე აგებული ფრაზეოლოგიის სწავლების ეფექტური და თანამედროვე მეთოდოლოგიის შემუშავებით, საეარჯიშოთა სათანადო სისტემის შედგენით, ფრაზეოლოგიის შერჩევისა და მისი სწავლების ორგანიზების მეთოდოლოგიის შექმნა-რეალიზებით.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულებაა ჩვენ მიერ შემუშავებული სწავლების ეფექტური მეთოდოლოგია, მასზე დაყრდნობილი პრაქტიკული მასალები და რეკომენდაციები, რომლებიც სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვაში დაეხმარება ენობრივ მიმართულებაზე მომუშავე მასწავლებლებს.

მონოგრაფია ეძღვნება ფრაზეოლოგიის სწავლებას. ფრაზეოლოგიზმები ენის მაღალინფორმაციული ერთეულებია; იგი ენის ერთ-ერთი უნივერსალური ატრიბუტია, რადგან არ არსებობს ენა ფრაზეოლოგიზმების გარეშე. ინგლისური ფრაზეოლოგია ძალიან მდიდარია და მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს [A. B. Кунин, 1970, გვ. 6].

აშკარაა, რომ ფრაზეოლოგია რთული მოვლენაა, რომლის შესწავლაც საჭიროებს კვლევის საკუთარ მეთოდს, აგრეთვე, სხვა მეცნიერებების – ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიის, გრამატიკის, სტილისტიკის, ფონეტიკის, ლოგიკისა და ქვეყანათმცოდნეობის მონაცემთა გამოყენებას. დასავლეთეუროპულ და ამერიკულ ლინგვისტურ ლიტერატურაში პრაქტიკულად არ გვხვდება თეორიული გამოკვლევები, რომლებიც სპეციალურად ეძღვნება ფრაზეოლოგიის შესწავლას; თუმცა, მრავალრიცხოვან ლექსიკონებსა და ცნობარებში მნიშვნელოვანი ფრაზეოლოგიური მასალა მოიპოვება. ძირითადად, ფრაზეოლოგიის საკითხები განიხილება გრამატიკებში, სტილისტურ ნაშრომებში, ლექსიკოგრაფიაში, ენის ისტორიასა და საერთო ენათმეცნიერულ ლიტერატურაში.

ში. ფრაზეოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის, საკითხი დასაველეთის მეცნიერების მიერ არ დასმულა. ამით აიხსნება ინგლისურ ენაში ამ დისციპლინის დასახელების არარსებობა.

ფრაზეოლოგია ენის საგანძურია. ფრაზეოლოგიზმებში პოეზებს გამოხატულებას ერის ისტორია, მისი ცხოვრებისა და კულტურის თავისებურება. ფრაზეოლოგიზმები ხშირად მკაფიო ეროვნულ ხასიათს ატარებს (მაგალითად, ბაკერ'ს დოზენ). წმინდა ეროვნული ფრაზეოლოგიზმების გვერდით, ფრაზეოლოგიაში საკმარაოდენობის ინტერნაციონალური (a banana republic, ან Aladdin's cave) ფრაზეოლოგიზმიც მოიპოვება. ინტერნაციონალურ ფრაზეოლოგიზმებს შორის ბევრი ბიბლიური წარმოშობისაა, მაგალითად: ციური მანანა, მამა აბრაამის ბატკანი და ა.შ.

მონოგრაფიის პირველ თავში განხილულია ფრაზეოლოგიის სწავლების ლინგვისტური და ფიქოლოგიური საფუძვლები, ხოლო მეორე თავში - კითხვის უნარჩვევების ლექსიკური (ფრაზეოლოგიური) ასპექტის სწავლების მეთოდური და პედაგოგიური საფუძვლები.

ფრაზეოლოგიის სწავლების ლინგვისტური და ფსიქოლოგიური საფუძვლები

1.1. ფრაზეოლოგია, როგორც ენობრივი მოვლენა და როგორც მეცნიერება

ცნობილი ენათმეცნიერი და ლექსიკოლოგი ა. კუნიჩი [A. B. Кунин, 1970] მიუთითებს, რომ ყოველი გამო-
ნათქვამი (utterance) არის გარკვეული გრამატიკული მოდე-
ლის (pattern) მიხედვით აგებული და რითმული სახის
სეგმენტებად დაყოფილი სიგნალების თანამიმდევრობა.
ლექსიკურ დონეზე, ცალკეულ სიტყვებთან ერთად, მოსა-
უბრე იყენებს უფრო დიდ ბლოკებს, რომლებიც შედგება
ერთზე მეტი სიტყვისაგან და ფუნქციონირებს როგორც
ერთი მოლიანობა. ეს მყარი შესიტყვებები (set expressions)
მრავალფეროვანია სტრუქტურულად, ფუნქციურად და
სტილისტურად. მათ შორის არის არა მარტო გამომხატ-
ველობითი სალაპარაკო გამონათქვამები (colloquialisms)
როგორც მოტივირებული (a sight for sore eyes და to know the
ropes), ისე არამოტივირებული (tit for tat), არამედ ტერმინე-
ბი (blank verse, great vowel shift), გაცვეთილი პოლიტიკური
ფრაზები ანუ კლიშეები (cold war, round-table conference,
summit meeting) და სტილისტურად (ემოციურად) ნეიტრა-
ლური კომბინაციები (in front of, as well as, a great deal, give
up) და სხვ. ეს მოკლე ჩამონათვალიც კი საკმარისია იმის
საჩვენებლად, რომ მსგავსი შესიტყვებების რიცხვი რო-
გორც აზრობრივად, ისე ფორმით განსხვავდება და რომ
მიღებულ ერთეულებს შეიძლება პქონდეთ სხვადასხვა
დისტრიბუცია [I. Arnold, 1966, გვ. 182–183].

ფრაზეოლოგიის შექმნა-გაგება-გამოყენებისას უდი-
დეს როლს ასრულებს ადამიანური ფაქტორი, რადგან
ფრაზეოლოგიზმების დიდი რაოდენობა ადამიანის მოღვა-
წეობის მრავალ სფეროსთანაა დაკავშირებული. ადრესა-
ტის (მსმენელის, მკითხველის) არსებობა კომუნიკაციის
უმთავრესი ელემენტია [I. Arnold, გვ. 5]. გარდა ამისა, ადა-

მიანი მიისწრაფვის გარე სამყაროს ობიექტები, მათ შორის უსულონიც, ადამიანური თვისებებით აღჭურვოს.

ფრაზეოლოგიის თეორიული შესწავლის ფუძემდებელია ფრანგული წარმომავლობის შვეიცარიელი ლინგვისტი შარლ ბალი. მან შემოიღო ტერმინი „phraseologie“ [Bally, 1905]. მაგრამ, ეს ტერმინი ფართოდ არ იხმარება დასავლეთეუროპელი და ამერიკელი ლინგვისტების შრომებში. ისინი უფრო ხშირად იყენებენ ტერმინებს „მყარი შესიტყვება“ (set expression) და „იდიომი“ (idiom). თვით ბალიმაც ფრაზეოლოგია სტილისტიკის შემადგენლობაში შეიტანა; ლინგვისტიკის რუსულ სკოლაში კი ტერმინი „ფრაზეოლოგია“ უფრო ზუსტად მიიჩნევა და ფართოდ გამოიყენება.

ნ. ამოსოვა ფრაზეოლოგიურ ერთეულებს განსაზღვრავს, როგორც უცვლელი კონტექსტის ერთეულებს (fixed-context units) და მათ შესახებ ლინგვისტურ სწავლებას ცალკე, დამოუკიდებელ მეცნიერებად განიხილავს. უცვლელი კონტექსტი ნ. ამოსოვას განსაზღვრული აქვს როგორც კონტექსტი, რომელსაც გარკვეული ლექსიკური კომპონენტების სპეციფიკური და უცვლელი თანამიმდევრობა და მათ შორის განსაკუთრებული სემანტიკური კაფ-შირი ახასიათებს [H. H. Амосова, 1966].

ინგლისელი და ამერიკელი სწავლულები შესიტყვებებს, მეტწილად, გამოყენებითი ლინგვისტიკის პრობლემად მიიჩნევენ. მათი ძალისხმევა კონცეპტირებულია იდიომატური ფრაზების ლექსიკონების შედგენაზე [Coles, 1999, Seidl, 1983]. ინგლისელებს და ამერიკელებს ნამდვილად შეუძლიათ იამაყონ ამ ტიპის ლექსიკონების სიუხვით, მაგრამ ჩვენი თვალსაზრისით, მთავარი თეორიული პრობლემები არა მარტო გადაუჭრელი რჩება, არამედ შეუხებელიც კია, გარდა იმ მცირეოდენი შენიშვნებისა, რომლებიც მოცემულია რიგ ზოგადლინგვისტურ ნაშრომებში.

ფრაზეოლოგიის საკითხი, როგორც ლინგვისტური დისციპლინისა, პირველად დასვა გამოჩენილმა რუსმა ლინგვისტმა ი.პოლივანოვმა [И. Д. Поливанов, 1931, გვ. 119]. იგი არაერთგზის უბრუნდებოდა ამ საკითხს და ამტკიცებდა, რომ ფრაზეოლოგიის შესწავლა ცალკე ლინ-

გვისტური დისციპლინის შექმნას მოითხოვს, რადგან არსებული დარგები სხვა კუთხით თუ ეხება მას: ლექსიკოლოგია სიტყვების სემანტიკურ მნიშვნელობებს შეისწავლის, მორფოლოგია-სიტყვების ფორმალურ მნიშვნელობებს, სინტაქსი-შესიტყვებების ინდივიდუალურ მნიშვნელობებს და ა.შ. ი. პოლივანოვი მართებულად თვლიდა, რომ ფრაზეოლოგია „დაიკავებდა განცალკევებულ და მყარ პოზიციას (ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ა.შ. მსგავსად) მომავლის ლინგვისტურ ლიტერატურაში“. ფრაზეოლოგიის საკითხი, როგორც ლინგვისტური დისციპლინისა, ვ. ვინოგრადოვმაც [В. В. Виноградов, 1946, 1947] დასვა. მან თავის ნაშრომებში დიდი ადგილი დაუთმო რუსული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლას და ისინი სემანტიკური ჯგუფების მიხედვით გადაანაწილა.

ლინგვისტიკის სპეციალური დარგი, რომელსაც ფრაზეოლოგია ეწოდა, XX საუკუნეში წარმოიშვა. ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიები რუსულ ფრაზეოლოგიაში ვ. ვინოგრადოვს და ბ. ლარინს ეკუთვნის. გამოჩენილმა რუსმა ლინგვისტებმა, აკადემიკოსებმა ფ. ფორტუნატოვმა, ა. შახმატოვმა და სხვებმა ნიადაგი მოამზადეს შესიტყვებების მეცნიერული სინტაქსური ანალიზისათვის. მოგვიანებით, ბევრმა რუსმა სწავლულმა გამოიჩინა ინტერესი ფრაზეოლოგიის მთელი რიგი თეორიული თუ პრაქტიკული პრობლემების მიმართ. რაც შეეხება ინგლისური ენის ფრაზეოლოგიას, ნაშრომთა რაოდენობა ფრაზეოლოგიაში იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ მათი ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. ლინგვისტების შეხედულებები ფრაზეოლოგიის რიგი პრობლემების შესახებ განსხვავებულია და ეს ბუნებრივიც არის თვით მოვლენის სირთულის გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, ა. კუნიის [А. В. Кунин, 1970, გვ. 6] აზრით, ფრაზეოლოგიაზე მომუშავე ლინგვისტების მნიშვნელოვანი ამოცანაა ძალთა გაერთიანება და შეხების საერთო წერტილის მოძებნა როგორც ფრაზეოლოგიის თეორიის, ისე (უცხოური) ენების სწავლების პრაქტიკის სფეროებში.

ა. კუნინის განსაზღვრებით, ფრაზეოლოგია არის მეცნიერება ფრაზეოლოგიური ერთეულების (ფრაზეოლოგიზმების), ანუ გართულებული სემანტიკით იმ სიტყვათა მყარი შეერთებების (შეწყობის) შესახებ, რომლებიც არ იწარმოება ცვლადი შესიტყვებების (переменные сочетания) სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების მსგავსად. იმ შემთხვევებში, როდესაც ფრაზეოლოგიზმს აქვს ლექსიკური სინონიმები, ისინი, ჩვეულებრივ, სტილისტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ლექსიკური სინონიმი, მეტწილად, ნეიტრალურ ფუნქციურ სტილს ეკუთვნის, ხოლო ფრაზეოლოგიზმი სტილისტურად შეფერილია.

12. შუსიტყვების ტიპები (თავისუფალი, შეზღუდული, მეთაშორული)

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გამოჩენილი ლინგვისტი იკვლევდა შესიტყვებების ტიპოლოგიას, ჯგუფების ტიპები და მათ შორის საზღვრები ლინგვისტიკის ერთ-ერთ საკამათო საკითხად რჩება.

მეტნაკლებად დეტალური სინქრონული დაჯგუფება მოცემულია ინგლისური იდიომების წიგნში ლ. სმითის და ვ. ბოლის ავტორობით. თუმცა, ისინი არ თვლიან, რომ მათი დაჯგუფება შეიძლება კლასიფიკაციად იქნეს მიჩნეული. ისინი მხოლოდ თავს უყრიან შესიტყვებებს, ხსნიან მათ, აღწერენ მათთვის დამახასიათებელ ზოგიერთ თვისებას (ალიტერაციას, რითმას, კონტრასტს და სხვ.), განიხილავენ რა მათ როგორც აზრის გამომხატველობის დამაჯერებელ მექანიზმებს [I. Arnold, 1966, გვ. 196-197]. ისინი, აგრეთვე, ინტერესს იჩენენ ინგლისური ფრაზების ეტიმოლოგიის მიმართ და შესაბამისად შესიტყვებებს აღაგებენ საზღვაო ცხოვრების, სოფლის მეურნეობის, ნადირობის, სპორტის და სხვა დარგის მიხედვით.

ბ. ლარინის [Б. А. Ларин, 1956] მიდგომა ამ საკითხის მიმართ დიაქრონულია. მისი კლასიფიკაცია ასახავს სამ თანამიმდევრულ საფეხურს, რომელთაც გადის შესიტყვება მისი განვითარების მანძილზე. ის წარმოიშობა

როგორც თავისუფალი შესიტყვება (Free Combination); მეორე საფეხურია ნათლად მოტივირებული სტერეოტიპული მეტაფორული ფრაზა; მესამე საფეხური უკვე იდიომია დაკარგული მოტივაციით. გამოთქმის მნიშვნელობა მსმენელის მიერ არ აღიქმება მისი ცალკეული ელემენტების (სიტყვებისა და ფლექსიების) მნიშვნელობებიდან გამომდინარე, არამედ გაიგება როგორც ერთი მთლიანი.

ი. არნოლდი თავისი წიგნის – „თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკოლოგია“ – შესავალში [I. V. Arnold, 1966, გვ. 183], რომელიც მყარ შესიტყვებებს ეხება, მათ სიტყვის ეკვივალენტებს უწოდებს; ასეთი მიდგომა იმითაა განპირობებული, რომ, სიტყვების მსგავსად, ფრაზეოლოგიურ ერთეულებს მნიშვნელობის მთლიანობა ახასიათებს, მეტყველებისას არ იქმნება, არამედ კომუნიკაციური აქტის მომენტში მზა სახითაა წარმოდგენილი და წინადადების ერთი წევრის ფუნქციას ასრულებს. ამავე დროს, ფრაზეოლოგიური ერთეულის, როგორც სიტყვის ეკვივალენტის, განხილვა სრულყოფილი არ არის¹; თუმცა, ასეთი მიდგომა აკმაყოფილებს გამოყენებითი ლინგვისტიკის მოთხოვნებს, განსაკუთრებით უცხოური ენების სწავლებას და სამანქანო თარგმნას. ი. არნოლდის აზრით, ორივე სფეროში მყარი შესიტყვებები ქმნის ენის ლექსიკური შემადგენლობის იმ ნაწილს, რომელიც ცალკე უნდა გამოიყოს და ისწავლებოდეს, ან უნდა იყოს წარმოდგენილი მანქანის „აზროვნებაში“, როგორც სიტყვების მთლიანი სტერეოტიპული ჯგუფები.

თავისუფალ კომბინაციებში (free combinations or phrases) სიტყვათშორისი კავშირები შეზღუდულია სიტყვების გრამატიკული თვისებებით (ზედსართავი სახელი ან

¹ ფრაზეოლოგიურ ერთეულში ორი ან მეტი სიტყვის ინტეგრაცია, სამწუხაროდ, ვერ დასტურდება ზუსტი ლინგვისტური პროცედურითაც კი, სახელდობრ, თუნდაც შენაცვლების ტესტით (Substitution Test): ერთსა და იმავე კონტექსტში გამოყენებული ფრაზეოლოგიური ერთეული → იმავე სემანტიკის მქონე სიტყვა, რადგან მათ შორის სტილისტური განსხვავება არსებობს.

მიმღეობა + არსებითი სახელი) და ექსტრალინგვისტური ფაქტორით (საგანი + ფერი). ისინი ყველა ელემენტის ვარიაციის საშუალებას იძლევიან, თუმცა, შესიტყვებაში შემაჯალ სიტყვებს გარკვეული კრიტერიუმით ზღუდავენ (მაგალითად, არსებითი სახელი + სენსორული აღქმის ზმნა + ზედსართავი სახელი: the soup / rose / dress / tastes / smells / looks good / nice / beautiful).

ნახევრად მყარ ფრაზაში ერთ-ერთი ელემენტი უცვლელია, ხოლო სხვების (უფრო ხშირად, ნაცვალსახელის) შეცვლა შეიძლება: to be in one's (his / her) blues (უცვლელი ელემენტები მუქადაა აღნიშნული). მყარ შესიტყვებაში არც ერთი სიტყვის შეცვლა არ შეიძლება (to rain cats and dogs, all the world and his wife, the man in the street, red tape, calf love, heads or tails, first right, to hope for the best, to and fro).

მყარი შესიტყვებები (set phrases) განსხვავდება თავისუფალი ფრაზებისა და ნახევრად მყარი ფრაზებისაგან. ყველა ეს სიტყვათა „თანხვედრის“ შეზღუდვების სხვადასხვა დონეა, რომელსაც ინგლისელი და ამერიკელი აუტორები ხშირად, იდიომს უწოდებენ.

ეს შეზღუდვები შეიძლება დამოუკიდებელი იყოს იმ კავშირებისაგან, რომლებიც არსებობს ექსტრალინგვისტურ სინამდვილეში საგნებს შორის (მაგალითად, შესიტყვება „მწვანე იდეები“ შეუძლებელია, რადგან ფერის ზედსართავი სახელები არ შეესაბამება აბსტრაქტულ არსებით სახელებს. მიუხედავად ამისა, შესიტყვება „ცისფერი ოცნება“ შესაძლებელია, რადგან მასში ფერის აღმნიშვნელი სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი); ასევე შეიძლება განპირობებული იყოს წმინდალინგვისტური ფაქტორებით ან ჰქონდეს ექსტრალინგვისტური მიზეზები ხალხის ისტორიაში. ქვემოთ მოტანილია სიტყვა „prolific“-ის შეზღუდული შესიტყვების უნარის მაგალითები.

სიტყვა "prolific"-ის შესიტყვების უნარი

	Meeting discussion, lecture, class, conference, plan, career, work (bringing about good results)	Man (having many children, producing much)	Animals (having many babies)	Plants (permitting to grow rich harvest)	soil	Climate (good)	Year, time, period
Fruitful	+	-	-	+	+	-	+(in connection with achievements)
Prolific	-	+	+	-	+	+	+(in connection with harvest)

ი. არნოლდის აზრით, თავისუფალ ფრაზაში სემანტიკური კავშირი დამატებითია (additive) და ყოველ ელემენტს გაცილებით მეტი სემანტიკური დამოუკიდებლობა აქვს. ყოველი კომპონენტის შენაცვლება შეიძლება მეორის მნიშვნელობაზე ზემოქმედების გარეშე: to cut bread, to cut cheese, to eat bread, to eat cheese. ინფორმაცია დამატებითია იმ თვალსაზრისით, რომ მისი ოდენობა, რომელიც გექონდა პირველი სიგნალის (სიტყვის) მიღებისას, გაზრდილია მეორე სიგნალის (სიტყვის) მიღებით. მყარ შესიტყვებაში ყოველი ელემენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია დამატებითი არ არის; მისი მნიშვნელობა არც არსებობს, სანამ არ განვიხილავთ ასეთ შესიტყვებას როგორც, ერთ მთლიანს.

ა.სმირნიცკი [А. В. Смирницкий, 1956, გვ. 203] განასხეავენ:

1)ჩვეულებრივ ან ტრადიციულ შესიტყვებებს, როგორც ის მათ უწოდებს, მიუხედავად იმისა, რომ განუწ-

ყვეტლივ მეორდება მეტყველებისას, მაგრამ სიტყვების ეკ-
ვივალენტებს არ წარმოადგენს (to truce an examination – გა-
მოცდის ჩაბარება), თუმცა, მრავალგზის იწარმოებიან
(წარმოიშობიან) მეტყველებაში;

2) ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომელთა მნიშვნე-
ლობაც, როგორი მეტაფორულიც არ უნდა იყოს წარმო-
შობით, მაინც მათი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელო-
ბებიდან გამომდინარეობს (to fall in love); ასეთი ერთეულები
ენის „ძირითად ქსელში“ შედის და ენის მატარებლის
მიერ არ აღიქმება, როგორც მეტაფორული (მათი ხატოვ-
ნება „მკედარია“);

3) საკუთრივ იდიომებს, რომლებიც მნიშვნელობის
გადატანაზე, მეტაფორაზეა დამოკიდებული. საკუთრივ
იდიომებისთვის დამახასიათებელი მომენტი მათი სტი-
ლისტური შეფერილობა, ემოციურობაა (to take the bull by
the horns, to fish in troubled waters, ან to wash one's dirty linen
in public და სხვ.).

რ. გინზბურგი, ს. სილვეელი, გ. კნიაზევა და ა. სანკი-
ნი [დ. შ. ინზბურგ, 1979, გვ. 74] იყენებენ ტერმინებს – „თავი-
სუფალი სიტყვათა ჯგუფები“ (free word-groups) და „ფრაზეო-
ლოგიური ერთობები“ (phraseological fusions), რომელთაც ერ-
თმანეთისაგან კომპონენტების დელიმიტაციისა და სტილის-
ტური შეფერილობის ქონა-არქონა განასხვავებს. ადვილი შე-
სამჩნევია, რომ, აზრთა და ტერმინოლოგიის გარკვეული
სხვაობის მიუხედავად, ფრაზეოლოგიაზე ლაპარაკისას მნიშ-
ვნელოვანია ორი მომენტი: შესიტყვებაში სიტყვების ერთიანი
ან დამოუკიდებელი მნიშვნელობა და შესიტყვების სტილის-
ტური შეფერილობა. მაშასადამე, ფრაზეოლოგიური ერთეუ-
ლები, ჩვეულებრივ, განისაზღვრება როგორც სიტყვათა ჯგუ-
ფები, რომელთა ერთობლივი მნიშვნელობაც არამოტივირე-
ბულია (ნაკლებად „გამჭვირვალეა“); იგი არ შეიძლება თავი-
სუფლად შეიქმნას მეტყველებისას, არამედ წარმოდგენილია,
როგორც მზა ერთეულები.

13. ფრაზეოლოგიური მართებულების სახეები

ფრაზეოლოგიის კლასიფიკაციაში განსაკუთრებული წვლილი მიძღვის აკად. ვ. ვინოგრადოვს. მის მიერ შემუშავებული რუსული ენის ფრაზეოლოგიის კლასიფიკაცია ნებისმიერი ენისთვის გამოსადეგია. ნ. ამოსოვას მართებული შენიშვნის მიხედვით, რომელსაც ა. კუნინიც ეთანხმება, „აკად. ვ. ვინოგრადოვის კონცეფცია განსაკუთრებული საფეხურია „მყარი შესიტყვებების“ თეორიის განვითარებაში. მისი ძირითადი მნიშვნელობა იმით გამოიხატება, რომ ვ. ვინოგრადოვის წყალობით, ფრაზეოლოგიურმა ერთეულებმა უფრო დასაბუთებული განმარტება მიიღო. კერძოდ, როგორც ლექსიკური კომპლექსები, დამახასიათებელი სემანტიკური თავისებურებებით წარმოჩინდნენ“ [Н. Н. Амосова, 1963, გვ.85; А. В. Куних, 1986, გვ. 22].

ვ. ვინოგრადოვის კლასიფიკაცია სინქრონულია. ის დაფუძნებულია ფრაზეოლოგიური ერთეულის მოტივაციაზე, ანუ საერთო (მთლიან) მნიშვნელობასა და მისი კომპონენტების მნიშვნელობებს შორის არსებულ ურთიერთკავშირზე. მოტივაციის ხარისხი შესაბამისობაშია შესიტყვების სიმტკიცესთან, განუყოფელობასა და სემანტიკურ მთლიანობასთან, ანუ მისი შემადგენელი ნაწილების ფორმისა და წყობის ცვალებადობის შესაძლებლობებთან და მთლიანი მნიშვნელობის ცალკეული სიტყვით შენაცვლებასთან.

მოტივაციის ტიპისა და სხვა თვისებების შესაბამისად, ვ. ვინოგრადოვი ფრაზეოლოგიური ერთეულების სამ ტიპს გვთავაზობს, ესენია: 1) ფრაზეოლოგიური შენაერთები, ანუ იდიომები (Phraseological fusions), 2) ფრაზეოლოგიური მთლიანობები (Phraseological Unities) და 3) ფრაზეოლოგიური კომბინაციები (Phraseological Combinations). ფრაზეოლოგიური შენაერთები (fusions), როგორც მათი სახელწოდება გვკარნახობს, ერთმანეთთან შეერთების უმაღლეს საფეხურს ქმნის. მათი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობები სრულიად შთანთქმულია მთლიანის მნიშვნელობით, საერთო ემოციურობით. ამის მაგალითია *as mad as a hatter* = *utterly mad*. მისი მნიშვნელობა სინქრონულ დონეზე ვერ აიხსნება. ინგლისელთა უმრავლესობამაც არ იცის, რომ

ოდესლაც ქულების მკერავეები იყენებდნენ ტყვიის ფორმებს, რის გამოც მრავალი მათგანის ფსიქიკა ორმოცი წლისათვის ირღეოდა. თუმცა, ზოგიერთი ენათმეცნიერი ამ ერთეულის წარმოშობას სხვანაირად ხსნის [I. V. Arnold, 1966, გვ.199.]: გველი - an adder, "mad" - "furious with anger". ასე რომ, მისი პირველადი მნიშვნელობა იყო "as furious as a snake". ე. ვინოგრადოვი თვლის, რომ ფრაზეოლოგიური შენაერთები ლიტერატურულ თარგმნას არ ესადაგება.

ფრაზეოლოგიური მთლიანობები (Phraseological Unities) საკმაოდ ნათლად მოტივირებული ერთეულებია. მათი ემოციურობის ხარისხი ეფუძნება მეტაფორულ მსგავსებას, რომელიც შეკრულია მთლიანობაში, როგორც, მაგალითად, to stand to one's guns - ში, ანუ refuse to change one's statements or opinions in the face of opposition implying courage or integrity. ზოგიერთი მათგანი იოლად ითარგმნება: to know from where the wind blows - იცოდე, საიდან უბერავს ქარი (ე. ი. იცოდე, ვისი იდეაა ეს; ან, იცოდე, საიდან გემუჭრება საშიშროება).

მესამე ჯგუფს მოცემულ კლასიფიკაციაში ფრაზეოლოგიური კომბინაციები ქმნის. იგი არა მარტო მოტივირებულია, არამედ შეიცავს ერთ-ერთ კომპონენტსაც მისი პირდაპირი მნიშვნელობით, რომელიც მხოლოდ მაშინ ვლინდება, როცა დანარჩენი კომპონენტები მეტაფორულადაა ნახმარი: to meet the requirements. ცვალებადობის ხარისხი ასეთ შესიტყვებებში ბევრად მეტია, ვიდრე სხვა ტიპებში. არის ჩანაცვლების ვარიანტებიც, რომლებიც მეტაფორული ელემენტის მნიშვნელობას არ სპობს. მაგ., to meet the necessity, the demand.

ასეთი კლასიფიკაცია, გარკვეულწილად, სუბიექტურია, რთულია მისი გამოყენება ზოგიერთი მეცნიერული ტერმინის, კალამბურის, „ფრთიანი ფრაზების“ (крылатое выражение), ლიტერატურული ციტატების, ანდაზური გამონათქვამების ნიშანთვისებათა და მნიშვნელობათა მიხედვით დაყოფისათვის. ვინოგრადოვს ხშირად საყვედურობენ ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფი-

კაციის საერთო პრინციპის იგნორირებას. პირველი ორი ჯგუფი – შენაერთები და მთლიანობები – ერთმანეთისაგან განსხვავდება ფრაზეოლოგიური ერთეულის მოტივირების ნიშნით; მესამე ჯგუფს – ფრაზეოლოგიურ კომბინაციებს – გამოყოფენ სიტყვის განსაზღვრული (შეზღუდული) შეწყობის ნიშნით.

ამავე დროს, ეს კლასიფიკაცია ნამდვილად ღირებულია უცხოური ენის შესასწავლად, რადგან შემსწავლელისთვის ფრაზეოლოგიური ერთეულის გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მეორე და მესამე ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულების რეცეფცია, უმეტეს შემთხვევაში, მათთვის რთული არაა. ფრაზეოლოგიური ერთეულების ამ სახეების უკეთესი გაგებისათვის სტუდენტებს მეტაფორული აზროვნება უნდა განუვითაროთ. პირველი ტიპის ფრაზეოლოგიზმების შესათვისებლად ან მხოლოდ მეხსიერებას უნდა დაეყრდნოთ, ან დიაქრონულ ანალიზს მიემართონ (თუ ამის შესაძლებლობა არსებობს ლექსიკონში სათანადო ინფორმაციის სახით).

ვ. ვინოგრადოვის მიერ დასახელებული ფრაზეოლოგიური ერთეულების სამ ტიპს ნ. შანსკიმ კიდევ ერთი – ფრაზეოლოგიური გამონათქვამები (высказывания) მიუმატა [Н. М. Шанский, 1964]. ფრაზეოლოგიური გამონათქვამები ხატოვანი ანდაზებისა და ლიტერატურული ციტატების ჩართვით ფორმირდება.

ზ. ანისიმოვაც [З. Н. Анисимова, 1952] ფრაზეოლოგიური ერთეულების სამ ჯგუფს გამოყოფს:

1) მაკლასიფიცირებელი ხასიათის ფრაზეოლოგიური ერთეულები. მათ მიეკუთვნება კონსტრუქციები, რომლებიც გამოხატავს უფრო კერძო, სახეობრივ (видовой) ცნებებს იმ ცნებებთან მიმართებაში, რომლებიც არსებითი სახელებით (მეორე კომპონენტად) გამოხატულია ფრაზეოლოგიური ერთეულების გარეთ. ასეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ზედსართავ სახელს (პირველი კომპონენტი) მაკლასიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს. იგი მოცემული ცნების იმ ნიშან-თვისებებზე მიუთითებს, რომლებიც მას

განასხეავენ მისი მსგავსი ცნებებისაგან (მაგ., hard money - ლითონის ფული, little finger - ნეკი);

2) ფრაზეოლოგიური მთლიანობები (მაგ., Blind alley);

3) ფრაზეოლოგიური შენაზარდები (сращение) (მაგ., hot air - ყბედობა, ლაქლაქი).

არც ამ კლასიფიკაციას უდევს საფუძვლად ერთიანი მაკლასიფიცირებელი პრინციპი, თანაც, ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეული შეიძლება ერთზე მეტ გჯუფს ეკუთვნოდეს. მაგალითად, შესიტყვებები public school, green room, ერთი მხრივ, მაკლასიფიცირებელი ხასიათის ერთეულებია, მეორე მხრივ კი, მათი მნიშვნელობა არ შეიძლება გამოყვანილ იქნეს მისი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობებიდან.

ა. კუნინი განასხეავენ უცვლელ გამონათქვამებს (ის მათ „დახურულს (closed)“ უწოდებს), ცვალებადი „(ღია Open)“ გამონათქვამებისაგან, ისეთებისაგან, როგორცაა: not to lift (raise, stir, turn) a finger, below (beneath, under) the mark (სადაც სინონიმური ვარიაცია შესაძლებელია). ცალკეა გამონათქვამები, რომლებიც შეიცავს ცვალებად ნაცვალსახელურ ელემენტებს: to give somebody a run for his money, to pull somebody's leg, to take one's time და გამონათქვამები, სადაც გაერთიანებულია ცვალებადობის ორი ტიპი, მაგალითად: to give somebody a bit (a piece) of one's mind.

ა. კუმაჩევა [A. B. Кумачева, 1953] არსებულ კლასიფიკაციებს სუბიექტურად მიიჩნევს და ასახელებს:

1) ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს და 2) ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს. ანალოგიურ კლასიფიკაციას ეხედებით ა. თაყაიშვილის [A. A. Такайшвили, 1962] საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატშიც.

ინგლისური ფრაზეოლოგია ყველაზე ამომწურავად ნ. ამოსოვას სადოქტორო ნაშრომშია შესწავლილი.

ის გვთავაზობს კონტექსტური ანალიზის პროცედურას, როგორც ყველაზე ობიექტურ გზას ფრაზეოლოგიური ერთეულების, თავისუფალი ფრაზებისა და სტერეოტიპული ფრაზების განსასხეავებლად. იგი ფრაზეოლო-

გიური ერთეულების შემდეგ, ორ ტიპს ასახელებს: ფრაზემებს და იდიომებს [H. H. Амособа, 1964, გვ. 139]. ფრაზემა მუდმივი კონტექსტის ერთეულია, მასში ერთ-ერთი სიტყვის მეტაფორული მნიშვნელობის აქტუალიზაციისათვის ერთადერთი კონტექსტია აუცილებელი. მაგალითად, შესიტყვებებში *beef tea* – ხორცის მაგარი ბულიონი, *black frost* – ყინვა თოვლის გარეშე, სიტყვები “*tea*” და “*black*” მხოლოდ მოცემულ სიტყვებთან ღებულობს ამ მნიშვნელობას. მეორე სიტყვის (კონტექსტის) მნიშვნელობა პირდაპირია. ფრაზემები ნაკლებად მდგრადია. ერთი და იმავე ლექსიკონის სხვადასხვა წლის გამოცემაში შეიძლება თვალი მივადევნოთ, როგორ ჩნდება და ქრება ასეთი შესიტყვებები. იდიომებში ორივე (ან უფრო მეტი) სიტყვა მთლიან მნიშვნელობას ქმნის, რომელიც არც ერთი მათგანის იდენტური არ არის: *red tape* – ბიუროკრატიული პროცედურები. იდიომები ენის საკმაოდ მდგრადი ერთეულებია. უცხოური ენის დაუფლებისას ფრაზემების გაგება-დამახსოვრება ნაკლებად რთულია, რადგან მათში შედის კონტექსტი, რომელიც ქმნის ასოციაციას შემსწავლელის მეხსიერებაში.

ნ. ამოსოვა ასევე გამოყოფს ნაწილობრივ პრედიკატულ ფრაზეოლოგიზმებს (ანდაზების ნაწილებს, რომელთა პირველი კომპონენტიც – ანტეცედენტი – არის ზმნა): *to fiddle while Rome is burning* – უმნიშვნელო საქმეში ჩაბმა სერიოზული ხიფათის მომენტში. ამავე დროს, მას მთლიანი ანდაზები ფრაზეოლოგიის ნაწილად არ მიაჩნია.

ი. არნოლდი მიუთითებს, რომ ნ. ამოსოვას მიერ დასახელებული ფრაზემები შეიძლება ეკვივალენტურ იყოს იმ ტიპებისა, რომლებიც ვ. ვინოგრადოვის კლასიფიკაციაში განსაზღვრულია, როგორც ფრაზეოლოგიური კომბინაციები. სინამდვილეში, ვ. ვინოგრადოვის ტერმინით მოცემულ მასალას ნ. ამოსოვა ორ ჯგუფად ყოფს და მათგან პირველს მიიჩნევს, შესაძლოა, ყველაზე დიდ ნაწილად, რომელიც ფრაზეოლოგიის საზღვრებს გარეთ უნდა იყოს. ესენია ისეთი კომბინაციები, როგორიცაა *to pay a visit / a call / compliments / respect* და ა.შ. მეორე მხრივ,

ასეთი კომბინაციები არც თავისუფალი არ არის, რადგან არსებით სახელთა ჯგუფი, რომელიც შესაძლებელია მეორე კომპონენტად იყოს გამოყენებული, შეზღუდულია არა დეზიგნატის (აღნიშნული მოვლენის) დამახასიათებელი თვისებებით, არამედ სტილისტიკური გადმოცემით (ტრადიციით). მაგალითად, შეუძლებელია (მცდარია) ფრაზები to pay a welcome or greetings. ზოგიერთი ამ კომბინაციათაგანი მორფოლოგიურად მყარია (მაგალითად, to pay addresses და არა an address). ნ. ამოსოვა გვთავაზობს ტერმინს “semi – fixed context” ან “traditionally fixed context”.

ა. სმირნიცკი [А. В. Смирницкий, 1956] განასხვავებს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს და იდიომებს. მისი აზრით, ფრაზეოლოგიური ერთეულები სტილისტურად ნეიტრალური კონსტრუქციებია, რომლებიც მეტაფორულობა-მოკლებულია, ან დაკარგა ეს თვისება. ა. სმირნიცკი ფრაზეოლოგიურ ერთეულებს მიაკუთვნებს: to get up, to fall in love, to be surprised და მსგავსი ტიპის კონსტრუქციებს; იდიომები კი, მისი აზრით, მნიშვნელობის გადატანაზე, მეტაფორაზე დაფუძნებული შესიტყვებებია, რომლებიც ნათლად იქმნება მოსაუბრის მიერ. ასეთი კლასიფიკაცია, როგორც ჩანს, სტილისტურია.

ფრაზეოლოგიის დეტალური ფუნქციურ-სემანტიკური კლასიფიკაცია, ძირითადად, ნიშნავს ლექსიკოგრაფიის მოთხოვნებთან შეხვედრას, რაც განვითარებულია ა. კუნიჩის სადოქტორო ნაშრომში. მის მიერ შემოთავაზებული ძირითადი კლასები დაფუძნებულია ფუნქციაზე, რომელსაც ფრაზეოლოგიური ერთეული ასრულებს მეტყველებაში. ისინი შეიძლება იყვნენ: ნომინაციური (a bull in a china shop), შორისდებლური (a fine, nice, pretty kettle of fish), კომუნიკაციური (familiarity breeds contempt) ან ნომინაციურ-კომუნიკაციური (pull somebody's leg). შემდგომი დაყოფა ქვეკლასებად დამოკიდებულია იმაზე, ერთეულები ცვალებადია თუ მყარი, რჩება თუ არა ერთ-ერთი ელემენტი უფრო თავისუფალი (unilateral phraseological units) და უფრო ზოგადი ცალკე აღებული ელემენტების მნიშვნე-

ლობებს შორის ურთიერთდამოკიდებულებასა და მყარი შესიტყვებების მნიშვნელობაზე.

როგორც ვხედავთ, ლინგვისტებს მთელი რიგი სადავო საკითხები აქვთ ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკაზე დაყრდნობილ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ი. არნოლდის აზრით [I. V. Arnold, 1966, გვ. 205], მთლიანობაში საეჭვო ჩანს, შესაძლებელია თუ არა ფრაზეოლოგიზმების ობიექტური კლასიფიცირება სტრუქტურული მიდგომის მიღების გარეშე. სტრუქტურული კლასიფიკაცია აგებულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში ორი თანაბარუფლებიანი ან წამყვანი და დაქვემდებარებული სიტყვების ურთიერთობებზე. მაგალითად, to pull the bull by the horns – პრედიკატულ-ობიექტური ფრაზეოლოგიზმია. ამ თვალსაზრისით, ა. სმირნიცკი [A. B. Смирницкий, 1956] ასახელებს: პრედიკატურ-ადვერბიალურ (to give up, to make out), პრედიკატულ-სუბსტანტიურ (to take the floor, to catch fire), სახელით-წინდებულოვან (by heart, for good) და ატრიბუტულსახელიან (first night, man of war, black art) ფრაზეოლოგიზმებს. ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ ტიპებსაც მეთოდური ღირებულება აქვს, რადგან სავარჯიშოების შედგენისას სასურველია მსგავსი სტრუქტურის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულები ერთად იქნეს განხილული.

ი. არნოლდი [I. V. Arnold, 1966, გვ. 191] მიუთითებს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურული კლასიფიკაციის რეალიზაციისას, შემადგენელი ნაწილების გარდა, წინადადებაში გასათვალისწინებელია შესიტყვების ფუნქცია. ასე, მაგალითად, შესიტყვება tooth and nail, თუმცა არსებითი სახელებისგან შედგება, ადვერბიალურია, რადგან წინადადებაში მისი ფუნქცია გარემოებაა: to keep something tooth and nail.

აქედან გამომდინარე კლასიფიკაცია შემდეგია [I. V. Arnold, 1966, გვ. 191-3]:

- I. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც არსებითი სახელის მსგავსად ფუნქციონირებს:

N + N: maiden name(=the surname of a woman before she was married),

N's+N: cat's paw (=one who is used for convenience of a cleverer and stronger person),

Ns' + N: ladies' man (=one who makes special effort to charm or please women),

N + prep + N: the arm of the law,

N + A: knight errant (=the phrase is applied to any chivalous man ready to help and protect oppressed and helpless people),

N + and + N: Lord and master (= husband),

A + N: green room (= reception room of a theatre),

N + subordinate clause: ships that parse in the night (= chance acquaintances).

II. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ზმნის მსგავსად ფუნქციონირებს:

V + N: to take advantage,

V + postpositive: to give up,

V + and + V: to pick and choose,

V + (one's) + N + (prep): to snap one's fingers at,

V + one + N: to give one the bird (= to fire somebody),

V + subordinate clause: to see how the land lies (= to discover the state of affairs).

III. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ზედსართავი სახელის მსგავსად ფუნქციონირებს:

A + and + A: high and mighty,

(as) + A + as + N: as old as the hills.

IV. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ზმნიზედის მსგავსად ფუნქციონირებს:

N + N: tooth and nail,

prep + N: by heart, of course

adv + prep + N: once in a blue moon,

prep + N + or + N: by hook or by crook,

conj + clause: before one can say Jack Robinson.

V. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც წინდებულების მსგავსად ფუნქციონირებს:

prep + N + prep: in consequence of.

VI. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც შორისდებულების მსგავსად ფუნქციონირებს:

Imperative sentences: Take your time! God bless me!

ამგვარი ტიპოლოგიაც გასათვალისწინებელია უცხოური ენის (განსაკუთრებით, რეცეპტული უნარ-ჩვევების გამო-მუშაების დროს) სწავლებისას. სასარგებლოა, მაგალითად, დავალება: წასაკითხ ტექსტში იპოვეთ შემდეგი სტრუქტურულ-ფუნქციური ტიპის ერთეულები.

გარდა ამისა, ი. არნოლდის მითითებით, ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის გამოიყოფა ერთეულები, რომლებიც არა მხოლოდ მეტაფორაზე, არამედ ალიტერაციაზე, ან სხვა სტილისტურ საშუალებებზე დაყრდნობით შეიქმნა და რომლებშიც, ამის გამო, მეორე სიტყვა, უმეტეს შემთხვევაში, შინაარსობრივ დატვირთვას არ ატარებს, ასეთებია:

- რითმის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულები: fair and square (=honest), by hook or by crook (=by any method, right or wrong);
- კონტრასტის (ანტითეზის) შემცველი ერთეულები: now or never; to kill or cure;
- ორი სინონიმის შემცველი ერთეულები: heart and soul (with complete devotion to any cause), flesh and blood;
- ალიტერაციის შემცველი ერთეულები: as fit as a fiddle, as good as gold.

ზოგიერთ მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულში შეიძლება რომელიმე სიტყვის ან მისი ადგილის / ფორმის შეცვლა, სხვებში კი ეს დაუშვებელია:

Collocations / expressions in which word order cannot be changed:

She was the life and the soul of the party / company / group.
It's a case of swings and roundabouts. (What you lose on the swings you make up on the roundabouts- what you lose here is compensated there.)

Mistakes are part and parcel of growing up.
I'll move heaven and earth to achieve my goal.
This season is make or break for our theatre. (win or lose)
Live and let live (enjoy life and let others enjoy it).
He's my flesh and blood (he's my real child).

ins and outs

highs and lows

hit and miss

black and white (black and white vision: believing that life consists only of good and evil things)

song and dance / sing and dance

ups and downs (successful periods and failures)

head and shoulders

chalk and cheese (different like chalk and cheese)

ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების დამახსოვრება და დეკოდირება დამოკიდებულია სათანადო გამოცდილების ქონა-არქონაზე და ასევე ანალიტიკურ უნარ-ჩვევებზე. ამ მიზნით, სასარგებლოა შემდეგი დაკალება: შეეცადეთ, მოცემულ შესიტყვებას უპოვოთ თავისი შესატყვისი დედაენაზე; გამოხატეთ თქვენი აზრი, რამ განაპირობა ამ შესიტყვების მნიშვნელობა.

ზოგიერთი ლინგვისტი მიაკუთვნებს ფრაზეოლოგიას ე.წ. „ფრაზულ ზმნებს“ – ზმნას და წინდებულს ან ზმნიზედას, რომელიც ცვლის ზმნის მნიშვნელობას, მაგ.:

bowl sb. over – 1. run over, 2. surprise, baffle

take (sb.) aback – surprise, shock (unexpectedly)

scale down – decrease the number / scale

swear (swore, sworn) in – inaugurate (swearing that she / he will perform her / his duties...)

handle down – after one person (e.g., elder child) uses st., another person (e.g., younger child) gets it

be caught up by a book - be carried away; take a great interest (in st.);

look into (a matter) – investigate, study

stamp on st. (figuratively) – take strict measures to stop st.

be trifled with – not to be taken seriously

talk down to sb. – talk disrespectfully
 rain off – be cancelled / postponed due to rain
 bounce on – attack unexpectedly and fiercely
 look into – study in detail / carefully
 reckon with / without – take (not take) into consideration
 leave sb. behind – do better / faster than sb.
 set aside – forget, put aside
 hold it against sb. – have st. against st.,
 show sb. around (some place) – do sightseeing
 go down with (some illness) – catch an illness, become ill
 with ...
 come in for – receive, attract
 turn sb. out of the house – make sb. leave the house
 turn out + adj. / inf. – happen: it finally turned out nice; it
 turned out to be him
 die / fade away – disappear little by little (gradually)
 keep st. to oneself – not tell anybody about st.
 get st. across – spread, explain
 run into sb. – meet sb. by chance, unexpectedly
 run up – have a big debt
 drive sb. up the wall – make sb. crazy
 be pressurized into ... - be made to ...
 see st. through – survive, live st. down
 push sb. around – stimulate a person for action
 count sb. / st. out – not take into consideration; count on sb. =
 rely on sb.
 hang around – stay near (probably without any special
 business)
 get off with sb. – achieve success with
 confer on sb. – award sb. (with a title), give sb. (a title)
 be taken in by - be interested very much by , be
 absorbed by ...

თუმცა, ფრაზული ზმნის შექმნის ლოგიკა ყოველ-
 თვის არ არის ერთნაირი, გარკვეული ჯგუფები შეიძლება
 გამოიყოს ზმნიზედის/წინდებულის მნიშვნელობის მიხედ-
 ვით:

Meanings of prepositions/adverbs in phrasal verbs:

up: direction (get up, clean up, pick up), increasing, improving (look up, read up, speed up, brighten up), not decreasing (keep up), completing, finishing (eat up, add up, shut up), approaching, appearing (come up, turn up)

on: attaching, holding (put on), continuing (hold on, keep on, go on)

off: departure, removal (take off, fence off, kill off), separation, ending (break off the engagement), decreasing (ease off), completion (polish off)

out: removal, excluding (throw out, miss out, die out), into the open (dig out, spit out, search out), produce (print out, churn out = produce on a conveyor), completely, to the end (carry out = realize, do; stick out = stand / tolerate to the end)

down: direction (sit down), decreasing, reducing (go down, turn down, narrow down, cool down), completely, ending (shut down)

away: removal, disposal (cut away, pack away, blow away, tidy away), without stopping (talk away, work away)

back: returning (pay back, give back, call / phone back), not forward (hang back = hesitate, keep away, drag one's foot), in the past (think back)

over: to a place (go / nip over to see sb.), exchange (hand over), thinking / talking about st. (mull it over for a while), finished (the rain will blow over)

about / around: moving aimlessly (laze about in the sun, play around, fool around), happen / take action (come about = happen, set about = spread / attack).

1.4. ფრაზეოლოგიური ერთეული – სოციოკულტურული ინფორმაციის წყარო და მატარებელი

იმისათვის, რომ ფრაზეოლოგიას მიეუდგეთ როგორც სოციოკულტურული ინფორმაციის წყაროს და მატარებელს [Ф. Н. Федутаева, 1996 ა, 1996 ნ; 1996 მ], აუცილებელია განვასხვაოთ თვით ფრაზეოლოგიზმი და მისი

„გენეტიკური პროტოტიპი“, ანუ ცვლადი შესიტყვება, რომელიც საფუძველად უდევს ფრაზეოლოგიურ გადააზრებას. ფრაზეოლოგიური ერთეულის, როგორც მეორეული ნომინაციის ნიშნის სპეციფიკა იმით გამოიხატება, რომ მისი „გენეტიკური პროტოტიპი“ მეტაფორული, მეტონიმური, სინედოხური და კომპონენტური შემადგენლობის სხვა ტრანსფორმაციების საშუალებით მოცემული ენის მატარებლის სოციოკულტურული ინფორმაციის კოდირებას ახდენს და ამგვარად მიღებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულს აცნობებს მის კუმულატორულ (cumulative - დამატებით) ფუნქციას, ანუ საზოგადოების მიერ რეალობის წვდომის შესახებ ინფორმაციის ფიქსირების, შენახვისა და გადაცემის ფუნქციას [Л. А. Чиненова, 1985, გვ. 64].

ფრაზეოლოგიური ერთეულის როგორც ლინგვისტიკური (კელევეითი), ისე ლინგვოდიდაქტიკური (სასწავლო პროცესთან დაკავშირებული) სემანტიზაციის პროცესში განსახილველი ფრაზეოლოგიური ერთეულის არა მხოლოდ მნიშვნელობის გახსნა ხდება, არამედ მისი „გენეტიკური პროტოტიპის“ აღმოჩენა-დეკოდირებაც, რომლის შედეგადაც ვღებულობთ ფონურ ცოდნას შესასწავლი ენის ქვეყნის/ქვეყნების ისტორიაზე, ცხოვრებაზე, ტრადიციებზე, ზნე-ჩვეულებებსა და მისთ., ანუ შესასწავლი ენის ხალხის მრავალმხრივ კულტურაზე [Ф. Н. Федуленкова, 1996 д, გვ. 71]. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი **baker's dozen** (სიტყვასიტყვით: პურის მცხოვრის დუჟინა) „чёртова дюжина“-ს მნიშვნელობით მომდინარეობს ძველი ინგლისური ადათიდან, რომლის თანახმადაც, პურის მცხოვრელებს სჯიდნენ, თუ ისინი პურს დაბალი წონით გაყიდნენ; მათ კი, სასჯელისთვის თავი რომ აერიდებინათ, ყოველი გასაყიდი დუჟინისთვის მეცამეტე პურიც უნდა დაემატებინათ უფასოდ, რაც ასახულია ლექსიკონში არსებულ დეფინიციაში: *Formerly bakers were punished if they sold loaves of bread below a lawful weight. To each dozen (12) loaves that were sold, therefore, an extra loaf was added free, to keep the weight above the lawful standard* [Longman, 1996 p. 15]; მაგალითად: *“There were twelve occupants of the Maud Long Medical*

Ward (aged people, female). The ward sister called them Baker's dozen not knowing that this is thirteen, but having only heard the phrase." (M. Spark, "Memento Mori"): „მოდ ღონგის“ სამედიცინო პალატაში თორმეტი ადამიანი (მოხუცები, ქალები) იმყოფებოდა. პალატის მედდა მათ ეშმაკის დუჟინას უწოდებდა, ვერ ხედებოდა რა, რომ ეს ცამეტს ნიშნავდა. მას ეს ფრაზა მხოლოდ მოსმენილი ჰქონდა;

შუა საუკუნეებში საყვირის ხმებით ესალმებოდნენ დიდგვაროვნებს და რაინდებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ტურნირებში, რამაც წარმოშვა ფრაზეოლოგიური ერთეული **to blow one's own trumpet** (საკუთარ საყვირში ბერვა), რომელსაც შეესაბამება შემდეგი დეფინიცია ლექსიკონში: **to praise one's own abilities** [Longman, 1996, p. 349]. ეს ნიშნავს „ქებას, ტრაბახს, თვითრეკლამას“. ამის მაგალითია:

"I don't like to blow my own trumpet, but I must say the sales conference would have been utter chaos if I hadn't been there to organize it."

ფრაზეოლოგიური ერთეულების ეტიმოლოგიაში გარკვეულ როლს ასრულებს თქმულებებიც. ისინი ხელს უწყობენ ინგლისური ენის ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეულების მოტივირებულობის ნიშნების გამოძებნას. მაგალითად: ფრაზეოლოგიური შესიტყვება **the black sheep (of the family)** თავისი წარმომავლობით ძველ თქმულებას უკავშირდება, რომლის თანახმადაც, შავი ცხვარი ეშმაკის ნიშანი იყო. მოცემული ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა შემდეგი დეფინიციით აიხსნება: **that member (of a family or other group) who is thought to be a disgrace to other members of it (because he is a criminal, a wastrel or because he does not measure up to their imposed standards)** [Cowie, 1984, p. 68] და გამოიხატება ასეთი რუსულენოვანი ეკვივალენტებით: **"паршивая овца", "позор семьи"** (არამზადა) და სხვ. მაგალითად:

"... like her father, she was, she said, the religious black sheep of the family. She had never been able to believe anything save that which pleaded her as reasonable." (Th. Dreiser, "A

Gallery of women"): ის (რონა) ამბობდა, რომ თავისი ურწმუნო მამის მსგავსად, თვითონაც იყო არამზადა ოჯახში. მას ყოველთვის სჯეროდა იმის, რაც გონივრულად ეჩვენებოდა.

To be born under a lucky star (სიტყვასიტყვით: ბედნიერი ვარსკვლავის ქვეშ დაბადება). ფრაზეოლოგიზმის „გენეტიკური პროტოტიპის“ წაკითხვა მოწმობს იმას, რომ მისი მნიშვნელობის *to be continually lucky* [Seidl, 1983, p. 168] – „იყო ბედნიერი“-ს წარმომავლობა უკავშირდება ინგლისელების (და მრავალი სხვა ერის) ცრურწმენას, რომ ვარსკვლავების განლაგება ზეგავლენას ახდენს ადამიანის იღბალზე, მაგალითად:

“That’s how it goes, son; if you haven’t been **born under a lucky star** you just have to work all the harder to get what you want.” [Cowie, 1984, p. 74]: ასეა საქმე, შვილო, თუ იღბლიანი ვარსკვლავის ქვეშ არ დაბადებულხარ, მძიმე შრომა მოგიწევს, თუ გინდა მიაღწიო იმას, რაც გსურს.

თანამედროვე ინგლისურ ენაში მოიპოვება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა მნიშვნელობის დადგენა საჭიროებს ინგლისური ცხოვრების კონკრეტული რეალობებისათვის ყურადღების მიქცევას. მაგალითად, მნიშვნელობა ფრაზეოლოგიზმისა **strange bedfellows** (სიტყვასიტყვით: უცხო პირები, რომლებიც ერთ საწოლს იზიარებენ) – „შემთხვევითი ნაცნობები“ – დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ შუა საუკუნეების ინგლისში განცალკევებული საწოლები იშვიათობა იყო და ერთი სქესის ადამიანებს (ოჯახის წევრებს, სასტუმროს მდგმურებს) ხშირად ერთად ეძინათ XVII საუკუნის შუახანებამდე. მოცემული ფრაზეოლოგიური ერთეული სასაუბრო ენაში ფართოდ გამოიყენება შემდეგი დეფინიციით: *people, or things, one would not expect to find close together, or to be closely associated with each other, because of their very different nature, uses, habits, etc.* [Cowie, 1984, p.523]:

“But it is hardly the first time in history that **strange bedfellows** have worked together for the same cause.” (“New statesman”): „პირველად კი არ ხდება ისტორიაში, როცა

დროებითი მოკავშირეები ერთად მუშაობენ საერთო საქმისათვის“.

ბევრი ფრაზეოლოგიური ერთეულის წარმომავლობა მჭიდროდაა დაკავშირებული ინგლისში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებთან.

XVII საუკუნის დასაწყისში დედოფალ ანას (1665-1714) ძალაუფლების შეწერების ისტორიულმა ფაქტმა თავისი გამოხატულება პოვა თანამედროვე ინგლისური ენის ფრაზეოლოგიაში: **Queen Ann is dead** (სიტყვასიტყვით: დედოფალი ანა მკედარია) - „თქვენი ახალი ამბავი ძველია“. მისი დეფინიცია ლექსიკონში შემდეგნაირია: *your news is stale; everybody knows (this) already* [Cowie, 1984, p. 471]. მაგალითად:

“The most depressing rumours are about here as to the next production- “Julious Caesar” or some such obsolete rubbish Will nothing persuade H.I. that **Queen Ann is dead?**” (B. Shaw, “Ellen Terry and Bernard Shaw. A Correspondence,” Letter to E.Terry, March, 26, 1896): ყველაზე მოსაბეზრებელი ჭორები სდევს - „იულიუს კეისრის“ ან რომელიმე სხვა მოძველებული სისულელის დადგმას. ნუთუ არაფერი დაარწმუნებს ჰ. ი.-ს (რეჟისორის ინიციალებია), რომ ასეთი სიძველეებით ვერავის გააკვირვებს?

თანამედროვე ინგლისური ენის ფრაზეოლოგია არა მარტო ინგლისში, არამედ მასთან ურთიერთობაში მყოფ სხვა ქვეყნებში მიმდინარე ისტორიული მოვლენების გაცნობის მდიდარი წყაროა.

ლექსიკონში მოცემული ფრაზეოლოგიზმის **the black hole of Calcutta** (სიტყვასიტყვით: კალკუტის შავი ხვრელი) - დაწყველილი ადგილი - „გენეტიკურ პროტოტიპში“ ჩადებული ინფორმაციის დეკოდირება გვამცნობს, რომ ამ ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობის წარმომავლობა დაკავშირებულია ინციდენტთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ინდოეთში, როცა ინგლისელი პატიმრების დიდი ნაწილი ერთი ღამით ჩაკეტეს პატარა ოთახში და ბევრი მათგანი დაიღუპა კიდევაც: *a dark unpleasantly hot and stuffy building or place, with few amenities,*

etc. (from an incident in India in 1756 when a large number of English prisoners were crowded into a small room overnight where many of them died) [Cowie, 1984, p. 68]. მაგალითად:

“Peter: Upset ? I am not upset. I just want to get the hell out of this black hole of Calcutta”. (S. Delany, “A Taste of Honey”): აღშფოთებული? მე არა ვარ აღშფოთებული! მე უბრალოდ მინდა მოვშორდე ამ დაწყევლილ ადგილს.

სოციოლინგვისტური ასპექტით საინტერესოა თანამედროვე ინგლისური ენის ის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ლიტერატურული ნაწარმოებების საფუძველზე წარმოიშა. ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულების ეტიმოლოგია ხშირად ლიტერატურული ნაწარმოებების პერსონაჟების ცხოვრებიდან გამომდინარეობს. მაგალითად: ისტორია ფრაზეოლოგიზმისა **a King Charles head** (სიტყვასიტყვით: მეფე ჩარლზის თავი) „აკეიატებული იდეის“ მნიშვნელობით ჩ. დიკენსის „დევიდ კოპერფილდიდან“ მომდინარეობს, სადაც ექსცენტრული ბატონი დიკი დასჯილი მონარქის თავის მიმართ დაუცხრომელ ინტერესს ავლენს. ამ ფრაზეოლოგიზმის დეფინიციაა: an obsession (of somebody's); a fact or topic constantly referred to whether really relevant or not (the head of this executed monarch kept intruding into the thoughts, conversation and writing of Mr. Dick, an amiable eccentric in DAVID COPPER-FIELD by C. DICKENS) [Cowie, 1984, p. 334]. მაგალითი:

“He wasn’t prepared to listen endlessly to complaints of how little her children appreciated her. It was fast becoming a **King Charles head**” – იგი არ იყო მზად უსასრულოდ მოესმინა ჩვილისათვის, რომ მისი შეილები არ აფასებენ მას. ეს უკვე მის აკეიატებულ იდეად იქცა.

ფრაზეოლოგიური ნეოლოგიზმები, მიიჩნევა რა ლინგვოქვეყანათმცოდნეობით სიმდიდრედ, შეიძლება პრესასთან დაკავშირებული საინტერესო სოციოკულტურული ინფორმაციის მატარებელი აღმოჩნდეს.

ფრაზეოლოგიური ერთეული **the silly season** დეფინიციით: the late summer when , with parliament in recess and many people on holiday, there tends to be less activity of

national importance, and therefore more space is taken up in the news media by items of trivial entertainment value [Cowie, 1984, p.502] მოიცავს თანამედროვე ინგლისში პრესის ცხოვრებაზე ფასეულ ლინგვოქვეყანათმცოდნეობით ინფორმაციას. იგი შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ქართული ეკვივალენტით: „პრესის მიწყნარება“ (ეს ხდება ზაფხულის ბოლოს, როცა პარლამენტი არღადაგებუა და, სათანადოდ, ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება სათანადოდ არ მიმდინარეობს).

თანამედროვე ინგლისური ენის ფრაზეოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საკუთარი სახელების შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც შესასწავლი ენობრივი ერთეულის ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკას შედარებით ფართოდ ასახავს; მაგალითად, ფრაზეოლოგიური ერთეულის **Bob's your uncle** (სიტყვასიტყვით: ბობი შენი ბიძაა) მნიშვნელობაა „ყველაფერი კარგად იქნება“ *everything, is or will be all right, nothing more will need to be done* [Cowie, 1984, p.73]. მაგალითი:

“Sam: This is how we get them married (he whispers to David, who laughs). David: And once they are married, **Bob's your uncle**” (B. Kops, “The Hamlet of Stepney Green”). – სემი: აი როგორ დაეპორწინებთ მათ (სემი ყურში ჩასწურწულებს დევიდს, რომელიც იცინის). დევიდი: და როგორც კი ისინი დაქორწინდებიან, ყველაფერი კარგად იქნება.

თანამედროვე ინგლისური ენა მდიდარია ერთი და იმავე სტრუქტურის მქონე ფრაზეოლოგიზმებით, რომლებსაც, როგორც წესი, პეიორატიული (pejorative) სტილისტური შეფერილობისაა: **Aunt Edna** - კონსერვატორული გემოვნების თეატრალი, **Aunt Fanny** - გამოიყენება კონსტრუქციებში, რომლებიც გამოხატავს ურწმუნობას, გაკიცხვას ან მტკიცე უარყოფას (ჟარგ); **Aunt Jane** ან **Aunt Jemima** - შეაკანიანი მღიქვენელი; **Aunt Mary** - მარიხუანა (სლენგი); **Aunt Tabby** ან **Aunt Thomasina** - კონსერვატულად განწყობილი ქალბატონი, ქალთა თანაბარუფლებიანობის მოწინააღმდეგე და სხვ.

ფრაზეოლოგიზმები სუბსტანციური კომპონენტით

uncle არც ისე მრავალრიცხოვანია თანამედროვე ინგლისურ ენაში, მაგრამ ყოველი მათგანის „გენეტიკური პროტოტიპი“ მიუთითებს ეროვნულ-კულტურულ თავისებურებებზე დაყრდნობით მიღებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე. ფრაზეოლოგიური ერთეული **Uncle Sam** (სიტყვასიტყვით: ძია სემი) ამჟამად გამოიყენება ორი მნიშვნელობით: „ამერიკის მთავრობა“ (the U.S. government personified) და „ამერიკელები“ (the American nation or people). იგი, როგორც ჩანს, წარმოიშვა U.S.-ის გაშიფრვიდან. ამ ფორმით ის მიკრული იყო ხორცის კასრებზე, რომლებსაც აწვდიდნენ აშშ-ს არმიას ომის დროს ფრანგულ კონიაკთან ერთად, ხოლო ეს აბრევიატურა - U.S. - ხორცის მწარმოებლის სახელი იყო, რასაც მოწმობს დეფინიცია ლექსიკონში: from U.S. abbreviation of the United States: probably from an originally jocular interpretation of the letters U.S. stamped on casks of meat supplied to the U.S. Army during the war of 1812 as standing for uncle Sam, nickname of Samuel Wilson, American meat packer [Webster, 1986, p.2485]. ამერიკულ სლენგში გვხვდება, აგრეთვე, ისეთი ფრაზეოლოგიზმები, როგორიცაა **Uncle Sugar** (სიტყვასიტყვით: ბიძა შაქარი) და **Uncle Whiskers** (სიტყვასიტყვით: ბიძა უღვაში), რომლებიც სინონიმებია და გამოიყენება „მაძებარის, აგენტის“ მნიშვნელობით: a federal agent, federal agents [Spears, 1991, p.414]:

“The cops called in Uncle Sugar to help the investigation”: „პოლიციელებმა ფედერალური აგენტი გამოიძახეს გამოძიებაში დახმარების აღმოსაჩენად“.

“Uncle Whiskers is getting suspicious, I think”. [Spears, 1991, p. 432]: „ეფიქრობ, რომ მაძებრებს ეჭვი გაუჩნდათ“.

To play at fast and loose (სიტყვასიტყვით: ითამაშო სწრაფად და თავისუფლად). ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულის წარმომავლობა, რომლის დეფინიციაა to behave in a selfish and often deceitful manner (towards a person); take advantage of (a person or a person's feelings) [Longman, p. 258] – „უპასუხისმგებლოდ მოქცევა“, „საკუთარი მოვალეობის დარღვევა“ დაკავშირებულია ძველ თამაშთან, რომლითაც, ძირითადად, ერთობოდნენ ბაზრობებზე ინგლისში. მაგალითი:

“It’s a shame, by Heavens,” said George, to play at fast and loose with your girl’s affections... “(W.Thackeray, “Vanity Fair”): „ღმერთო ჩემო, ეს სირცხვილია“, – ამბობდა ჯორჯი, – „ახალგაზრდა გოგონას გრძნობებით ითამაშო“.

თანამედროვე ინგლისური ენის ფრაზეოლოგიზმები საბავშვო თამაშების შესახებ ინფორმაციის მდიდარ წყაროს წარმოადგენს, როგორც სოციოკულტურული რეაქციების სახესხვაობისა. მაგალითად: „გენეტიკური პროტოტიპი“ ფრაზეოლოგიზმისა **Tom Tiddler’s ground** (სიტყვასიტყვით: ტომ ტიდლერის მოედანი) წარმოადგენს ძველი ინგლისური საბავშვო თამაშის სახელწოდებას, სადაც წამყვანი ტომ ტიდლერი ცდილობს არაეინ შეუშვას იმ წრეში, სადაც ის დგას და თუ მაინც რომელიმე ბავშვი მოახერხებს ამ წრეში შერბენას, მაშინ ისინი მღერიან: “Here we are on Tom Tiddler’s ground picking up gold and silver.” – ჩვენ ვართ ტომ ტიდლერის მოედანზე, ვაგროვებთ ოქროსა და ვერცხლის მონეტებს.

თუ განსახილველ ფრაზეოლოგიზმს ჩაეწედებით მისი კომპონენტური შემადგენლობის მეტაფორული ტრანსფორმაციის საშუალებით, მაშინ მისი შიდა ფორმა [Куних, 1972, გვ. 165] საფუძველი იქნება ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის წარმოებისა: a place, area of activity, body of material, that is open to anyone to pick up what wealth, advantages they can - from a children’s game where one player, Tom Tiddler, tries to keep others from crossing a boundary line into his base [Cowie, 1984, p. 563] - რომელიც შეიძლება ქართულად გადმოიცეს შემდეგნაირად: „ოქროს მაღანი“, რუსულად კი - როგორც “место для легкой наживы”, მაგალითად:

“Verdi had one of the most rewarding and successful careers in musical history. Nowadays his music is Tom Tiddler’s ground for festival planners...” (“New Statesman,” 1978): „მუსიკის ისტორიაში ვერდის კარიერა იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და დაფასებული. დღესდღეობით, მისი მუსიკა ოქროს მაღანია ფესტივალის ორგანიზატორებისათვის...“

თანამედროვე ინგლისური ენის ფრაზეოლოგია ეფ-

როპული ქვეყნების ისტორიული და კულტურული ცხოვრების მოვლენებსაც ასახავს. განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევა ძველი რომის და, აგრეთვე, ინგლისის ისტორიასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები; გასაგებია რატომაც, — ეს ხალხი დაპყრობილი იყო რომაელების მიერ ჩვ. წთ. აღ-მდე I საუკუნიდან ჩვ. წ. აღ-ის V საუკუნემდე. აქედან გამომდინარე, ფრაზეოლოგიზმის — **a Roman holiday** (სიტყვასიტყვით: რომაული არდადეგები) მნიშვნელობაა an occasion of people enjoying the spectacle, or an account, of others suffering, being hurt or even killed (the reference being to the arenas of ancient Rome) [Cowie, 1984, p. 483] — „გართობა სხვისი ტანჯვის ხარჯზე“, „სასტიკი გართობა“ და მომდინარეობს რომაულ არენაზე გლადიატორების ბრძოლებიდან, სადაც მაყურებელი მიდიოდა დასასვენებლად და გასართობად. მაგალითი:

“You and your filthy newspapers would have got hold of it and what a **Roman holiday** you'd have made of it.” (R. Harling, “The Paper Palace”): „შენ და შენი ბინძური გაზეთები ჩაეჭიდებოდით ამას და რა სასტიკი გასართობი მოაწყობდით ამისგან“. ამ ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობიდან გასაგებია, რამდენი დაკარგა ფილმ „Roman holiday“ სათაურის თარგმანმა, როცა იგი, უბრალოდ, ასე გადმოაქართულეს: „რომაული არდადეგები“.

თანამედროვე ინგლისურ ენაში ფართოდ გავრცელებული ფრაზეოლოგიური ერთეულია **when in Rome, do as Romans do** (სიტყვასიტყვით: როცა რომში ხარ, მოიქეცი ისე, როგორც რომაელები იქცევიან), რომელიც გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით: one should follow the manners and customs of the people one is visiting or living with [Longman, 1996, p. 278]. ამ ფრაზეოლოგიზმის ქართული შესატყვისია „სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურე“. მაგალითი:

“Don't put on the sabots again. I told you... they were not quite the thing in this country. **Do in Rome as Romans do.**“ (Ch. Bronte, “Shirley”): „მეტი აღარ ჩაიცვა საბო. მე გითხარი შენ... რომ ეს აქ არ არის მიღებული. სადაც ხარ, იქაური ქუდი დაიხურე“.

ბრიტანული და რომაული კულტურების ურთიერთქმედებას მოწმობს ფრაზეოლოგიური ერთეული **all roads lead to Rome** (სიტყვასიტყვით: ყველა გზას რომში მიეყვართ). მნიშვნელობა: „ერთსა და იმავე მიზნის მისაღწევად უამრავი გზა არსებობს“. განსახილველი ფრაზეოლოგიური ერთეული ლექსიკონში მოცემულია დეფინიციით: **all ways or methods of fulfilling a specific intention and in the same result** (often used to defend one's personal way of doing something, or to suggest that no one method is better than another [Longman, 1996, p.277]. მაგალითი:

“In other words, the starting point is quite irrelevant; as **all roads lead to Rome**, so a person's thoughts and associations tend to lead towards his personal troubles, desires and wishes of the present moment.” (H. J Eysenck, “Sense and Nonsense in Psychology”). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საწყისი წერტილი უმნიშვნელოა, რადგან ყველა გზას მაინც რომისკენ მიეყვართ. შესაბამისად, ადამიანის ფიქრები და ასოციაციებიც უბრუნდება მის პირად საზრუნავს, პრობლემებსა და მომენტალურ სურვილებს.

1930-იან წლებში ფაშისტების ავაზაკური საქმეების მიმართ თავისი დამოკიდებულება ინგლისელებმა გამოხატეს შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულით: **the night of the long knives** (სიტყვასიტყვით: გრძელი დანების ღამე), რომელიც 1934 წლის 29 ივნისს ნაცისტურ გერმანიაში მომხდარ მოვლენებს უკავშირდება, როცა პიტლერმა ბრძანა ნაცისტურ პარტიასთან კავშირის მქონე ზოგიერთი ადამიანის მოკვლა ან ციხეში ჩასმა. მოცემულ ფრაზეოლოგიურ ერთეულს შემდეგი მნიშვნელობა აქვს: „დრო, როცა სრულდება უდიდესი უკანონობა, განსაკუთრებით კი როცა ადამიანთა ჯგუფი იკრიბება თავისი ყოფილი მომხრე ადამიანების მაღალი პოსტიდან ჩამოსაგდებად“. მოცემული ფრაზეოლოგიზმის ლექსიკონური დეფინიციაა: **a time when an act of great disloyalty is done, esp. when several people meet together to arrange the dismissal of a friend from an office** [Longman, 1996, p. 184].

ინგლისურენოვანი ქვეყნების თანამედროვე სოციო-

კულტურული ცხოვრების რეალიები თავის ზეგავლენას ახდენს ინგლისური ენის ფრაზეოლოგიური ფონდის განვითარებაზე. ფრაზეოლოგიზმის **Hell's Angels** (სიტყვასიტყვით: ჯოჯოხეთის ანგელოზები) – როკერები – სემანტიკურ ფორმირებას საფუძვლად უდევს მისი „გენეტიკური პროტოტიპის“ მეტაფორული ტრანსფორმაცია; ლექსიკონში მისი დეფინიციაა: (gangs of) young motor-cyclists who project a tough image of themselves by driving at reckless speeds on the roads and wearing black, decorated, leather clothes [Cowie, 1986, p. 281), მაგალითად:

“Items range from the copper studs used in leather work which sell at 5p a dozen. We get rid of thousands to Hell's Angels for decorating their jackets.” (“The Sunday Times”, 1983).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინგლისური ენის ფრაზეოლოგია შესასწავლი ენის ქვეყნის (ქვეყნების) შესახებ როგორც ფილოლოგიური, ისე სოციოკულტურული ინფორმაციის უმდიდრესი წყაროა. ფრაზეოლოგიური ერთეულის „გენეტიკური პროტოტიპი“ მოცემული ენის მატარებლის სოციოკულტურული ინფორმაციის კოდირებას ახდენს და ამის შედეგად მიღებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულს „გადასცემს“ მის კუმულატორულ ფუნქციას, ანუ საზოგადოების მიერ სინამდვილის წედომის შესახებ მნიშვნელოვნად დიდი მოცულობის ინფორმაციის ფიქსირების, შენახვისა და გადაცემის ფუნქციას, და ქმნის ე. წ. „ვერტიკალურ კონტექსტს“ [Умченко, 1985, გვ. 26], ანუ ფონური ცოდნის მარაგს იმ ერის მრავალმხრივი კულტურის თაობაზე, რომლის ენასაც შევისწავლით.

ფრაზეოლოგიური ერთეულის როგორც ლიგვისტური, ისე ლინგვოდიდაქტიკური სემანტიზაციის პროცესში ხდება არა მარტო განსახილველი ერთეულის მნიშვნელობის გახსნა, არამედ მისი „გენეტიკური პროტოტიპის“ დეკოდირებაც, რომლის შედეგიცაა ინგლისელებისა და სხვა ინგლისურენოვანი ქვეყნების ხალხების შესახებ ფონური ცოდნის მოპოვება ისტორიაზე, ტრადიციებზე, ზნეჩვეულებებზე, ყოფიერებასა და სხვ.

უცხოური (კერძოდ, ინგლისური) ენის სწავლებისას

არ არის საკმარისი მსგავსი ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკის გახსნა-დამახსოვრება. საჭიროა, აგრეთვე, მათი გამოყენება საგანთშორისი კავშირების ჩამოყალიბებისათვის. ასეთი სწავლება სასწავლო პროცესის მოტივაციასაც გაზრდის.

15. ფრაზეოლოგიური ერთეულების ფუნქციონირების ფსიქოლინგვისტური საპიტიხები

ადამიანის ლექსიკურ მარაგში ინახება სხვადასხვა ზომის, სტილისტურ-ფუნქციური ტიპის, მორფოლოგიური სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ერთეულები. ლექსიკის (მათ შორის, ფრაზეოლოგიის) დაუფლება-გამოყენების ფსიქოლინგვისტური კვლევების ამოცანაა ინდივიდში ამა თუ იმ სახის ლექსიკური ერთეულების შეთვისებისა და ფუნქციონირების თავისებურებების გამოვლენა. ამ პრობლემებს შორისაა ფრაზეოლოგიური ერთეულების შენახვა-ორგანიზება მეხსიერებაში, მათი აღქმა სმენითი ან ვიზუალური არხებით, ძიება მეხსიერებაში, მეტყველების აღქმისა და წარმოების პროცესთა ძიება და სხვ.

ამ თვალსაზრისით, უადრესად პრობლემატურია: ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების (მათი ფონეტიკური თუ გრაფიკული ფორმების რეცეფციის, მორფოლოგიური და სემანტიკური ანალიზის) და სამეტყველო აქტივობის პროდუქტულ და რეცეპტულ სახეებად გამოყენების ეტაპების განსაზღვრა.

ა. გარნჰამის [A. Garnham 1985, გვ. 43-44] ერთ-ერთ ნაშრომში, მაგალითად, მითითებულია, რომ ამ საკითხების განხილვისას ხმარებული ტერმინები lexical access (სიტყვის წვდომა) და word recognition /selection (სიტყვის გამოცნობა/შერჩევა) ხშირად გამოიყენება როგორც ურთიერთშემცვლელი, თუმცადა, საჭიროა მათი გარჩევა, რადგანაც „სიტყვის წვდომა“ გულისხმობს სიტყვის ამოღებას მეტყველების ნაკადიდან (ან მეხსიერებიდან) და მის შედარებას სიტყვათა მარაგში არსებულ (ან კონტექ-

სიტუალურ) ინფორმაციასთან, რის შედეგადაც სიტყვა ხდება გამოცნობის (ან გამოყენების) ერთ-ერთი კანდიდატი. „სიტყვის გამოცნობა/შერჩევა“ კი მიიღწევა მაშინ, როცა მხოლოდ ერთი ასეთი კანდიდატი რჩება. სიტყვათა მარაგი განიხილება როგორც მეხსიერების ის ნაწილი, რომელიც ორიენტირებულია სიტყვების დამახსოვრება-გახსენებაზე. სავარაუდოდ ინფორმაცია მასში ინახება, „ბლოკებით“/„მოდულებით“ (როგორც კოგნიტურ-სემანტიკური კომპონენტების სისტემა), რაც უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას გამონათქვამის ინტერპრეტაციისას ან ფორმულირებისას.

ლექსიკური (მათ შორის, ფრაზეოლოგიური) ერთეულების დამახსოვრება-გახსენების ძირითადი მექანიზმია ასოციაციების ჩამოყალიბება. აქ იგულისხმება არა მხოლოდ სიტყვის ფორმისა და სემანტიკის მექანიკური დაკავშირება მსგავს კონტექსტში მისი მრავალჯერ გამოყენების გზით, არამედ ასოციაციური მნიშვნელობაც, რომელიც ყალიბდება რეალური საგანის/მოვლენის, მის კონცეფციასა და ლექსიკურ ერთეულს შორის სამეტყველო-სააზროვნო აქტივობის პროცესში [Deese, 1965].

ა.ზალევსკაია [A. A. Залевская, 1999, გვ.175] ლექსიკურ მარაგს განმარტავს, როგორც ინდივიდის მენტალურ საკუთრებას. ა. გარჩამისგან განსხვავებით, ა. ზალევსკაია გამოყოფს ლექსიკური ერთეულების აღქმის სამ ეტაპს: წვდომას – გამოცნობას – იდენტიფიკაციას. მეტყველების ნაკადში ლექსიკური ერთეულების აღქმის პროცესს იგი განიხილავს, როგორც ადამიანის სამეტყველო-სააზროვნო აქტივობაში მიმდინარე ყველა სხვა პროცესს, რომელთა პროდუქციაა იმის სუბიექტური განცდა (გაგება), თუ რაზე მიმდინარეობს საუბარი, ემოციურ-შემფასებლური ნიუანსების გათვალისწინებით. მისი აზრით, ასევე, ანგარიშგასაწევია ამ პროცესში გათვითცნობიერებულისა და გაუთვითცნობიერებულის ურთიერთქმედება ვერბალიზებული ფორმით ან ვერბალიზაციის გარეშე. აღნიშნული სამი ეტაპი ესადაგება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს: ენის მატარებელიც კი სიტყვის გამოცნობისას ხანდახან უშვებს შეცდომებს, ან კარგად ვერ გუ-

ბულობს ნაცნობი სიტყვის მნიშვნელობას მოცემულ კონტექსტში.

თავის მხრივ, სიტყვის წედომა, რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს. დ. სანდრა [D. Sandra, 1994, გვ. 4] ასეთად თვლის ე.წ. გადამუშავებას, რომელსაც ადგილი აქვს წედო-მამდე (preaccess processing), ლექსიკურ წედომასა და წედო-მისშემდგომ გადამუშავებას (postaccess processing). მას აინტერესებს, პოლიმორფული სიტყვების აღქმისას აქვს თუ არა ადგილი მათ დაშლას მორფემებად, და, თუ ასეთ მოვლენას მართლაც აქვს ადგილი, როდის ხდება იგი? ამ კითხვაზე საჭირო პასუხი ჯერჯერობით არ არის მიღებული.

ლექსიკური უნარ-ჩვევების ფორმირება-გამოყენების თეორიულ საკითხებს შორის არის პერცეპტული და კოგნიტური სისტემების „თანამშრომლობა“, თუ იზოლირებული (პარალელური ან თანამიმდევრული) მოქმედება. ინფორმაციის მიღება-აღქმა რამდენიმე დონეზე ხდება: „დაბალ დონედ“ მიჩნეულია ფონეტიკური დონე (ლექსიკური ერთეულების ჟღერადობა, მათ შორის საზღვარი), ხოლო გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) და სემანტიკური მხარეები – „მაღალ დონეებად“ ითვლება; თუმცა, სირთულის დონის განსხვავების მიუხედავად, მათი აღქმის რეალური მექანიზმი და თანამიმდევრობა ჯერჯერობით გაუგებარია. და მაინც, ამ თეორიული დებულებების გათვალისწინებით (მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო დასკვნა ჯერ კიდევ გამოსატანია), უნდა აიგოს უცხოური ენის ლექსიკის (მათ შორის, ფრაზეოლოგიის) სწავლება. აშკარაა, რომ სავარჯიშოთა სისტემის შედგენისას აუცილებელია ლექსიკურ ერთეულთა გამოცნობის მექანიზმის ყველა ამ დონის გათვალისწინება.

გამოკვლევებს, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ლექსიკურ მარაგში ფრაზეოლოგიური ერთეულების ფუნქციონირებასთან, თან სდევს სხვადასხვა მიზნები, დაისმება სხვადასხვა კითხვები. ავტორების ერთ ჯგუფს, ძირითადად, აინტერესებს, ინახება თუ არა იდიომები მეხსიერების სპეციალურ უჯრედებში, თუ ისინი ფუნქციონირებენ, უბრალოდ, როგორც სპეციფიკური რთული (გრძელი) ლექსიკური ერთეულები. მეორე

ჯგუფს კი აინტერესებს, თუ რომელ გზას ირჩევს ადამიანი იდიომის აღსაქმელად: პირდაპირს თუ გადატანითს; ზოგს კი აინტერესებს, აქვს თუ არა ადგილი იდიომების შემადგენელ ნაწილებად დაშლას მათი აღქმა-გაგების პროცესში. ზოგიერთი მეკლევარისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია იდიომის გაგების მიღმა არსებული კოგნიტური პროცესები. პარალელურად მიმდინარეობს იმ სხვადასხვაგვარი სტრატეგიებისა და საყრდენების კვლევა, რომლებიც გამოიყენება ფრაზეოლოგიური ერთეულების გაგებისას.

ასე, მაგალითად, ჯ. ეიჩისონი [G. Aitchison, 1987, გვ. 78] იკვლევს იდიომატური გამოთქმების მეხსიერებაში შენახვის და მათი ფუნქციონირების თავისებურებებს. მას მიაჩნია, რომ იდიომები ადამიანის ლექსიკურ მარაგში ფუნქციონირებს, როგორც ჩვეულებრივი ერთსიტყვიანი ერთეული. მიუხედავად იმისა, რომ ეს რიცხვი საკმაოდ დიდია, მათი გადამუშავება (მშობლიურ ენაზე კომუნიკაციისას) სერიოზულ სირთულეს არ იწვევს. იდიომები, ჯ. ეიჩისონის აზრით, გადაიკვეთება კლიშეებთან, ის კი, თავის მხრივ-სიტყვათა შორის ასოციაციურ კავშირებთან. ამგვარად, არსებობს თავისებური კონტინუუმი, სადაც ძნელია მეკეთრი საზღვრის გავლება სხვადასხვა სახის ერთეულებსა და მათი ფუნქციონირების თავისებურებებს შორის.

ვ. ლეველტი [W. Levelt, 1993, გვ. 187] ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ იდიომატური გამოთქმები შედის მენტალური ლექსიკური მარაგის ერთეულთა რიცხვში, ანუ არ არსებობს სპეციალური მოდელი, რომლის გამოყენებითაც ისინი ფუნქციონირებენ. დ. სუინი და ა. კატლერი [D. Swinney & A. Cutler, 1979] არ იზიარებენ ამ აზრს. ჯ. დანბარის [G. Dunbar, 1991, გვ. 131-132] ნაშრომში მოცემულია იდიომების დეკოდირების მოდელირების მცდელობა. იდიომში მის მიერ განიხილება, როგორც ენობრივ ერთეულსა და მის შინაარსს შორის პირველადი კავშირიდან გადახრა. როცა საზოგადოება ვითარდება და იგნორირებს გარკვეულ ცოდნას იდიომის მნიშვნელობის თაობაზე, მაშინ კავშირი ფორმასა და შინაარსს შორის უფრო და უფრო

ბუნდოვანი ხდება. ეს კი იდიომის კომპონენტების ცვალებადობის უნარზე ახდენს გავლენას: რაც უფრო ძველია ფრაზეოლოგიური ერთეული, მით უფრო მყარია (უცვლელია) იგი სინტაქსურად.

ვ. შვაიგერტის ნაშრომში [W. A. Schweigert, 1986] განხილულია იდიომების აღქმა-გაგების პროცესი კითხვისას, რომელიც სამი მოდელის მიხედვით მიმდინარეობს:

- ჯერ ხდება პირდაპირი მნიშვნელობის გამოცნობა და, თუკი იგი არ შეესაბამება კონტექსტს, შემდეგ იწყება გადატანითი მნიშვნელობის გაგების მცდელობა;

- თავიდანვე, იდიომის აღქმა გადატანითი მნიშვნელობით;

- ორივე მოდელის კომბინირება.

ჯ. დანბარის აზრით [G. Dunbar, 1991], ბავშვები მშობლიური ენის იდიომებს ჰოლისტიკურად (მთლიანად, კომპონენტებად დანაწევრების გარეშე) აღიქვამენ. მოზრდილთა დიდი ნაწილიც მსგავსად მოქმედებს: სკანირებს წინადადებას იდიომის კომპონენტების საოვნელად, შემდეგ კი მისი მნიშვნელობის იდენტიფიკაციას კომპონენტებად დანაწევრების გარეშე ახდენს.

ჯ. დანბარი, აგრეთვე, მიუთითებს, რომ ბოლო წლებში ჩატარებულმა ნეიროფიზიოლოგიურმა კვლევებმა დაადგინა გარკვეული კავშირი იდიომების პირდაპირ თუ მეტაფორულ დეკოდირებასა და თავის ტვინის ნახევარსფეროებს შორის. ამ კვლევების მიხედვით, შესიტყვების პირდაპირი მნიშვნელობის ინტერპრეტაცია დაკავშირებულია მარცხენა ნახევარსფეროს, ხოლო მეტაფორული მნიშვნელობის ინტერპრეტაცია – მარჯვენა ნახევარსფეროს აქტიუობასთან. აქედან გამომდინარე, უცხოური ენის სწავლების მეთოდიკის თვალსაზრისით, დასკვნა აშკარაა: ფრაზეოლოგიური ერთეულების სწავლებისას უნდა მიემართოთ სტუდენტების როგორც ინტელექტუალურ (მარცხენა ნახევარსფერო), ისე ემოციურ (მარჯვენა ნახევარსფერო) ძალებს. დაუშვებელია ისეთი დავალებების გამოყენება, რომლებიც მხოლოდ ინტელექტუალურ მექანიზმებზეა (პირველ ყოვლისა, ანალიზზე) ორიენტირებული.

ლი. სტუდენტებს უნდა შეექმნათ ფრაზეოლოგიური ერთეულის მთლიანი ხატი, რათა შეძლონ მისი გამოცნობა.

რ. გიბსი [R. Gibbs, 1989] მიუთითებს, რომ იდიომის აღქმისას კომპონენტებად მისი დაშლა/არდაშლა დამოკიდებულია თვით იდიომის ბუნებაზე. თუ ეს ნაწილობრივ გამჭვირვალე იდიომია, მისი დაშლისას მკითხველი/მსმენელი პირდაპირი მნიშვნელობით აღიქვამს მის ერთ-ერთ კომპონენტს, ხოლო დანარჩენებს კი – მეტაფორულად (მაგ., lay down the law = formulate the law); ხოლო, თუ მთელი ფრაზა მეტაფორას ქმნის (მაგ., kick the bucket = die), მისი დაშლა კომპონენტებად არაფრის მომცემია. როგორც ჩანს, ადამიანში ამავდროულად მოქმედებს ხატოვანი იდიომების მეტაფორული მნიშვნელობის (ე.წ. კონცეპტუალური მეტაფორების) გამოცნობის ქვეცნობიერი მექანიზმი, რომელიც მათ არა მხოლოდ მშობლიურენოვანი, არამედ უცხოურენოვანი იდიომების მნიშვნელობის წვდომაშიც კი ეხმარება. [G. Gibbs 1994, გვ. 427-428]. ჩვენი აზრით, შესაბამისად, ფრაზეოლოგიის დამახსოვრების და ნასწავლი თუ ახალი ფრაზეოლოგიური ერთეულების დეკოდირების უნარ-ჩვევების ფორმირებისას უნდა ვიყენებდეთ როგორც დაეაღებებს იდიომის დაშლასა და მისი კომპონენტების ანალიზზე, ისე იდიომის მთლიანი „იმიჯის“ აღქმა-დეკოდირებაზე.

უცხოური ენის რუსი შემსწავლელების მიერ ინგლისური ენის იდიომების აღქმა-გაგების მექანიზმების გამოყენება გამოკვლეულია ო. შუმილინას ნაშრომებში [O. C. Шумилина, 1996, 1997]. უცხოური ენის ფრაზეოლოგიზმების იდენტიფიკაციისას ცდისპირები, ნებისთ თუ უნებლიეთ, ეყრდნობოდნენ ფრაზეოლოგიური ერთეულის შემადგენელი კომპონენტების პირდაპირ მნიშვნელობებს, რასაც თან ახლდა მშობლიური ენის მყარი ასოციაციური კავშირების აქტუალიზაცია. მშობლიური ენის ნეოლოგიზმების (ან ახალი ფრაზეოლოგიური ერთეულების) დეკოდირების ჩამოყალიბებული სტრატეგიები ადამიანს უცხოური ენის იდიომების დეკოდირების დროსაც ადგება. დადგენილია, რომ ვისაც

მშობლიურ ენასთან დაკავშირებით სათანადო ეფექტური სტრატეგიები ჩამოყალიბებული აქვს, უპრობლემოდ იგებს უცხოენოვანი ფრაზეოლოგიის დიდ ნაწილსაც. ო. ს. შუმილინას მიერ გამოკვლეულია დეკოდირების შემდეგი სტრატეგიები:

- კონტექსტუალური სუბსტიტუცია;
- წინააღმდეგიდან გამომდინარე იდენტიფიკაცია;
- დესიმბოლიზაცია;
- ენათშორისი კოორდინაცია;
- კომპონენტებად დანაწევრება;
- კომპონენტების ჩანაცვლება;
- მნიშვნელობის სიტყვასიტყვით გაგება.

ცდისპირები „გასაღებად“ იყენებდნენ უშუალო თუ მთლიან კონტექსტს; ფრაზეოლოგიური ერთეულის სინტაქსურ სტრუქტურად – ცოდნას მისი ცალკეული კომპონენტების მეტაფორული მნიშვნელობების შესახებ.

ჩვენი აზრით, ფრაზეოლოგიური ერთეულების აღქმა-დამახსოვრებისა და დეკოდირების სტრატეგიების შესამუშავებლად სტუდენტებს უნდა შეეასრულებინოთ შემდეგი ტიპის დავალებები:

- ორიგინალისა და მისი მხატვრული თარგმანის შედარება;

- სიმბოლოების ანალიზი მშობლიურ და შესასწავლ უცხოურ ენაში/კულტურაში;

- კონტექსტის მიხედვით, სავარაუდო მნიშვნელობების დასახელება;

- იდიომების თარგმნისას ანტონიმების გამოყენებით თარგმნა (თუ უფრო უშუალო ეკვივალენტი არ მოიპოვება).

ყოველივე ეს, ხელს შეუწყობს გათვითცნობიერებული სტრატეგიების შემუშავებას.

1.6. ფრაზეოლოგიური ლექსიკონები: მათი სახეები, სტრუქტურა და გამოყენება სასწავლო პროცესში

რადგან სტუდენტებს ფრაზეოლოგიური ლექსიკონების სხვადასხვა ტიპთან მოუწევთ მუშაობა, აუცილებე-

ლია მათი სახეებისა და სტრუქტურის, მათში შეტანილი ლექსიკური ერთეულების შერჩევის პრინციპების ცოდნა. განვიხილოთ რამდენიმე აღიარებული ფრაზეოლოგიური (იდიომების) ლექსიკონი.

Oxford Dictionary of Current Idiomatic English

მოცემული ლექსიკონის I ნაწილი - Oxford Dictionary of Phrasal Verbs - შედგება ორსიტყვიანი კომბინაციებისგან, რომლებიც ფრაზული ზმნების სახელითაა ცნობილი: ზმნა + უცვლელი ნაწილაკი (Verb + particle) ან ზმნა + თანდებული (Verb + preposition). მაგალითად: back down, fall through, run into და სხვ. ეს ზმნები დიდ დაბრკოლებას უქმნის უცხოენოვან შემსწავლელებს, რომლებიც მათ სტრუქტურასა და მნიშვნელობას შორის არსებული პრობლემების გამო, უფრო ხშირად ერთსიტყვიანი ეკვივალენტის გამოყენებას არჩევენ ან კიდევ ათასობით ფრაზულ ზმნას შორის ცდილობენ სწორი ფორმის მოძებნას.

ამ ლექსიკონის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისებაა საილუსტრაციო ციტატები, რომლებიც სხვადასხვა თანამედროვე წყაროებიდანაა აღებული (ბელეტრისტული, ისტორიული, ბიოგრაფიული და სხვა ნაწარმოებებიდან, პრესიდან, რადიო და სატელევიზიო გადაცემებიდან).

როგორც ვიცით, იდიომები სხვადასხვა სტრუქტურული ტიპებისაგან შედგება. ეს ტიპები შესულია ლექსიკონის II ტომში. აქ ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელოვანი ნაწილი შედარებით უფრო რთული ტიპებისაა. ზმნასა და უცვლელ ნაწილაკთან ან თანდებულთან ერთად, ისინი შეიცავენ არსებით სახელს, ზოგჯერ კი ზედსართავ სახელს, როგორც უცვლელ ელემენტს: to get access to, to give scope for, to let off steam, to lose track of, to make a mental note of.

ამ კატეგორიებში შესული ყველა კომბინაცია, რა თქმა უნდა, არ შეიცავს ფორმის ან მნიშვნელობის გაგების პრობლემას. მეორე მხრივ, არის უამრავი კომბინა-

ცია, რომლებიც პრობლემას უქმნის უცხოელს, რაგდან მას შეიძლება ჰქონდეს როგორც პირდაპირი, ისე იდიომატური მნიშვნელობა. პრობლემაა ის, თუ როგორ მიხედეს უცხოური ენის შემსწავლელი, არის თუ არა მოცემული მნიშვნელობა იდიომატური.

იდიომატურობის განხილვას იწყებენ ძალიან მარტივი და ცნობილი მიდგომით, რომლის თანახმადაც იდიომატური შედგება ორი ან მეტი სიტყვისაგან და მისი მნიშვნელობა არ გამომდინარეობს შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან. ამის ტესტირება კი შესაძლებელია შემდეგნაირად: მაგალითად, თუ ზმნა + უცვლელი ნაწილაკი არის სემანტიკური მთლიანობა (sematic unit), ჩვენ უნდა შევკლოთ მისი შენაცვლება ეკვივალენტური მნიშვნელობის ცალკეული სიტყვებით (ამ შემთხვევაში, ზმნებით). მაგალითად, წინადადებაში "His promotion has stepped up their status." "step up" არის იდიომატური შესიტყვება, ვინაიდან იგი ცალკეული სიტყვების – "improve" და "enhance" – სინონიმურია.

სემატიკური მთლიანობის გამო (მათი დამახასიათებელი თვისება), იდიომები მოქმედებენ როგორც ცალკეული „გრამატიკული სიტყვები“. ეს ტენდენცია აისახება იმ ფაქტში, რომ „ზმნა + უცვლელი ნაწილაკის“ ტიპის იდიომატური გამოთქმები შეიძლება არსებით სახელებად გარდაიქმნას. მაგალითად, to make up (one's face)-ს აქვს შესაბამისი არსებითი სახელი make-up და to break down (the accounts, the figures) - შესაბამისი ფორმა breakdown.

ლექსიკონში შესული მასალა ზემოთ აღწერილი კრიტერიუმებით შეირჩა. ცხადია, ყველა გამოთქმა, რომლებიც ფორმისა და მნიშვნელობის ერთიანობით გადმოიცემა, ლექსიკონში უნდა იყოს შესული. მაგრამ, რაც შეეხება „ნახევარ-იდიომებს“, სად უნდა გაივლოს ზღვარი? არადა, ნაცადი იყო ზღვრული შემთხვევების ჩართვა, მაგრამ არის გარკვეული კტიტერიუმები, რომლებსაც უპირატესობა მიენიჭა:

- 1) ლექსიკონში შეტანილია ნებისმიერი გამოთქმა, მარტივი თუ რთული, სადაც უცვლელი ნაწილაკის ან

წინდებულის წაშლა შეუძლებელია. ამ ტენდენციით აიხსნება შემდეგი, არცთუ ისე იდიომატური გამოთქმების ჩართვა ლექსიკონში:

angle for fasten on / upon jack in (= abandon)
fish for seize on / upon pack in.

- 2) ამ კრიტიკიზმისთვის მიკუთვნებული მნიშვნელობა ნაწილობრივ ხსნის ბევრი ნახევრად იდიომატური გამოთქმის ლექსიკონში ჩართვის პრობლემასაც. ისინი შედგებიან ერთ-ერთი აქ წარმოდგენილი ძირითადი ზმნისაგან: come, go, take, put და სხვ. ზმნის „გარდამაელობასა“ და „გარდაუვალობას“ შორის არსებული კავშირის გამო, რომელიც დამყარებულია, მაგალითად, come down-სა და bring down-ს შორის მათ გარკვეულ მნიშვნელობებში, ეს ზმნური შესიტყვებები არ ქმნის სრულ იდიომებს, მაგრამ უცვლელი ნაწილაკის სიმყარე მაინც განაპირობებს მათ ჩართვას ლექსიკონში. ბევრ მსგავს შემთხვევაში, ლექსიკონში შევიდა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც კონტექსტუალურად არიან ან არ არიან იდიომები. მაგალითად, put aside + (a book, one's knitting) შევიდა ლექსიკონში, რადგან ის მეტაფორულადაც გამოიყენება: put aside (money, cash) და put aside (a grievance, one's differences).

- 3) მაშინაც კი, როცა გამოთქმა შეიცავს წინდებულს, რომლის ჩამოშორებაც არაერთარ ცვლილებას არ იწვევს წინადადების შინაარსში, იგი შეიძლება შეტანილ იქნეს ლექსიკონში იმის გათვალისწინებით, რომ წინდებულს აქვს ზმნასთან გამოყენების ძლიერი ტენდენცია. ამგვარი გამოთქმების ჩართვა ლექსიკონში ბევრი ლათინური წარმოშობის ზმნის არსებობასაც ადასტურებს, თუმცა, მათი მნიშვნელობა ხშირად იზოლირებულადაც გასაგებია:

abstain (from) develop (from) (into)
agitate (for) transfer (from) (to).

- 4) ცნობილია, რომ მოძრაობის გამომხატველი ზმნები, როგორიცაა march, run, walk იწყობს მიმართულების

აღმნიშვნელი უცვლელი ნაწილაკებისა და წინდებულების მნიშვნელოვნად დიდ რიცხეს გამოთქმების საწარმოებლად - march through, march up; run across, run back; walk away, walk in, walk out - რომელთა მნიშვნელობებიც შეიძლება ადვილად იყოს გაგებულნი. მაგრამ, როცა მსგავსი გამოთქმები იხმარება ისეთი სპეციალური მნიშვნელობით, როგორიცაა: march past = move ceremonially past somebody ან walk on, ასეთ შემთხვევებში, ეს გამოთქმები ჩართულია ლექსიკონში, თუმცა, ზოგჯერ ეს მნიშვნელობებიც ადვილია გასაგებად.

- 5) ზმნები puff, steam და zoom, აგრეთვე, თავისუფლად უერთდება უცვლელ ნაწილაკებს და თანდებულებს ისეთი გამოთქმების საწარმოებლად, როგორიცაა: puff across, puff past; steam along, steam into; zoom down, zoom out და სხვ. ამ კომბინაციებს წინა პუნქტში ნახსენები ზმნებისაგან განსხვავებული სტატუსი აქვს. მაგალითად, ზმნა steam-ის ინტერპრეტირება ხდება, როგორც მოძრაობის ზმნისა, როცა ის უერთდება უცვლელ ნაწილაკს ან წინდებულს (steam across = move across under steam power, etc.), ამდენად, უცვლელი ნაწილაკი მას ვერ ჩამოშორდება ზმნის მნიშვნელობის ცვლილების გარეშე, შევადაროთ:

The train steamed out noisily.

The train steamed noisily.

ლექსიკონის პირველი ნაწილიდან მეორეზე გადასვლისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ინგლისური იდიომების სტრუქტურული სახესხვაობები. ამ ნაწილში განხილული იდიომები ქმნის „ფრაზულ მოდელებს“ (phrase patterns): a bargain basement, easy on the eye, in the nick of time, „უსუბიექტო ქვეწყობილის მოდელებს“ (subjectless clause patterns): cut one's losses, pay sb a compliment და მარტივი ან რთული წინადადების მოდელებს: one swallow does not make a summer. ეს არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმ მრავალფეროვანი კონსტრუქციებისა, რომლებიც წარმოდგენილია აღნიშნულ ლექსიკონში.

ავტორების მითითებით, ლექსიკონში შესული ლექსიკური ერთეულების უმრავლესობა შეიძლება დასათაურდეს, როგორც ფრაზული იდიომები (phrase idioms) და წინადადების დონის იდიომები (clause idioms). ეს ჯგუფებიც რამდენიმე დომინანტურ ქვეკატეგორიას შეიცავს. იდიომების მიერ გამოხატული წინადადების დონის ყველაზე ჩვეული მოდელი არის:

- ზმნა + არსებითი სახელი: go berserker (= go crazy);
- ზმნა + კუთვნილებითი სიტყვა + არსებითისახელი: ease smb's conscience / mind (=give sb some relief from worry, guilt or fear);
- ზმნა + არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი: paint the town red (= arrange a drinking a bout);
- ზმნა + ირიბი დამატება + პირდაპირი დამატება: do sb credit(=a person's achievements, actions etc are in his or sb else's favour);
- ზმნა + პირდაპირი დამატება + adjunct (apposition): take sth amiss (= understand sth the wrong way).

ფრაზულ მოდელებს შორის კი ავტორები გამოყოფენ:

Noun phrase: a crashing bore;

Adjective phrase: free with one's money;

Prepositional phrase: in the nick of time;

Adverbial phrase: as often as not.

Collins COBUILD Dictionary of Phrasal Verbs

წარმოდგენილი ლექსიკონი მოიცავს ფრაზული ზმნების (ზმნა + ზმნიზედა ან წინდებული) სამ ათასზე მეტ კომბინაციას; ესენი ყოველდღიურ თანამედროვე ინგლისურ ენაში ძალზე ხშირად ხმარებადი კომბინაციებია. ლექსიკონში მოთავსებულ ინფორმაციას საფუძვლად უდევს ინგლისური ენის საინფორმაციო ბანკში არსებული მონაცემები, თანამედროვე ინგლისური ენის კოლინზის მონაცემთა დიდი ბაზა, რომლისთვისაც მასალები აღებული იქნა სხვადასხვა წყაროებიდან და სტილებიდან.

ახლა ის ითვლის 450 მილიონზე მეტ სიტყვას. **Collins COBUILD** ლექსიკონების შესადგენად გამოიყენება სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელიც აანალიზებს ტექსტს შესიტყვების დონეზე, რაც საშუალებას იძლევა დამუშავდეს ძალიან დიდი მოცულობის ინფორმაცია.

ლექსიკონში შესული ფრაზული ზმნები შეიძლება განვიხილოთ, როგორც კომბინაციები შემდეგი ოთხი მთავარი ტიპის მიხედვით:

- 1) კომბინაციები, რომელთა კომპონენტების ჯამიდან არ გამომდინარეობს მათი მნიშვნელობა. მაგალითად, go off (= explode), put off (= postpone) და სხვ.
- 2) კომბინაციები, რომლებიც ყოველთვის გამოიყენება განსაზღვრულ ზმნიზედასთან ან წინდებულთან. მაგ., refer to და rely on. ლექსიკონში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ზმნა, როგორც წესი, გამოიყენება გარკვეულ წინდებულთან ან ზმნიზედასთან გარკვეული მნიშვნელობით. მაგალითად: lead to do what for.
- 3) კომბინაციები, სადაც უცვლელი ნაწილაკი არ ცვლის ზმნის მნიშვნელობას, მაგრამ ის გამოიყენება იმის საჩვენებლად, რომ ზმნის მიერ გამოხატული მოქმედება შესრულდა ბოლომდე, სრულად ან უწყვეტად. მაგ., შესიტყვებებში slave away და slow away ნაწილაკი away მძიმე სამუშაოს გამოხატვას ამატებს, უწყვეტობის, განგრძობითობის მნიშვნელობას. ამ კომბინაციებს ხშირად შემესებ-გამაძლიერებლებს უწოდებენ (completive-intensives).
- 4) კომბინაციები, რომელთაც ეწოდება სიტყვასიტყვითი ("literal phrasal verbs"). აქ ზმნასაც და ნაწილაკსაც აქვს მნიშვნელობები. მაგალითად, კომბინაციაში to fight back, ზმნა fight-ს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც ცალკე, იზოლირებულად აღებულ ზმნას – fight, back კი გამოიყენება იმავე მნიშვნელობით, რომლითაც ის გვხვდება to phone back და to strike back-ის მსგავს კომბინაციებში.

ლექსიკონში შესულია, აგრეთვე, მყარი გამონათ-

ქვამები (fixed expressions), რომლებიც ზმნასთან და ნაწილაკთან ერთად შეიცავს სიტყვას – it. მაგალითად, to go for it და to step on it. მეტაფორული ხასიათის შესიტყვებები, მაგალითად, to skate on thin ice, შეტანილია ლექსიკონში Collins COBUILD Dictionary of Idioms.

The Collins COBUILD Dictionary of Idioms

განსახილველ ლექსიკონში შეტანილია იდიომები, რომლებიც შეიძლება ყოველდღიურ ინგლისურ ენაში შეგვხედეს. მასში, ასევე შესულია ტრადიციული ინგლისური იდიომები, ისეთები, როგორიცაა to spill the beans და a red herring გამოთქმები, რომლებიც „ნახევარ იდიომებადაა“ მიჩნეული; არის, აგრეთვე, ძალიან გაერცელებული, რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი მეტაფორებიც, როგორიცაა: the acid test (= a serious trial); მეტაფორული ანდაზები, როგორიცაა: every cloud has a silver lining as a sheet და old as the hills; გვხვდება რამდენიმე სხვა სახის გამოთქმებიც, რომლებსაც მტკიცე პრაგმატული მნიშვნელობა აქვთ, ესენია: famous last words და that's the way the cookie crumbles. აქვე შესულია გამოთქმები, რომლებიც ფრაზული ზმნების კომბინაციებს ქმნის; არის მყარი ან ნახევრად მყარი სახელადი ფრაზებიც, როგორიცაა, მაგ.: to give up the ghost, to put someone off their stroke, და to throw the baby out with the bath water. ლექსიკონში არ არის შესული სხვა ისეთი სახის მყარი შესიტყვებები, როგორიცაა, მაგალითად: in fact და at least, ან how do you do და excuse me.

მიუხედავად იმისა, რომ იდიომები სიმყარით ხასიათდებიან, ტიპობრივად სულაც არ არის დაუშლელი. ბევრ იდიომს ორი ან მეტი ალტერნატიული ფორმა აქვს, რაც არ იწვევს მისი მნიშვნელობის ცვლილებას. მაგალითად, ბრიტანულ ინგლისურში ნახმარია როგორც to burn your bridges, ისე to burn your boats იდიომი. ბევრ შემთხვევაში, იდიომში რამდენიმე სხვადასხვა ზმნაც შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგალითად: sit ყველაზე ხშირად გამოიყენება იდიომში to sit on the fence, მაგრამ მას შეიძ-

ლება ზმნები stay და be შეენაცვლოს. მიღებულ მნიშვნელობაში ოდნავი ცვლილება ხდება, მაგრამ ეს მისახვედრია ამ ზმნების ჩვეული მნიშვნელობებიდან გამომდინარე, რომელთა სუბსტიტუციაც უკვე მომხდარია. ამის მსგავსად, წინდებულების ცვალებადობაცაა შესაძლებელი, მაგალითად: to have your back to the wall და to have your back against the wall. აღნიშნულ ლექსიკონში ნაჩვენებია მსგავსი ვარიაციები და შესაძლებლობათა ნიმუშები.

ლექსიკონში მოცემული მაგალითები აეთენტიკურია და აღებულია ენის საინფორმაციო ბანკიდან. ხშირად იდიომი კონტექსტში მეტად რთულად არის ნახმარი, ამიტომ შერჩეული მაგალითები, COBUILD-ის სხვა ლექსიკონებთან შედარებით, მოცულობით გაცილებით დიდია, რათა მოხდეს მათი დემონსტრირება სრულად.

საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო, იდიომებს, პრაგმატული ფუნქციები აკისრია ენაში. ამდენად, იგი ნაკლებად გამოიყენება ფაქტობრივი ინფორმაციის გადმოსაცემად, უფრო ხშირად ნაირგვარ დამოკიდებულებას ასახავს და ტიპობრივად შემდეგ შეფასებებს იძლევა: მოწონებას ან აღფრთოვანებას, დაჟინებას ან კრიტიკას და ა.შ. იდიომებს სხვა ფუნქციებიც აქვს ტექსტებში, როგორიცაა, მაგალითად: აქცენტირება (ხაზგასმა) ან მსჯელობის ორგანიზება მადლობის თუ უარყოფის გამოსატქმელად.

Collins COBUILD Dictionary of Idioms ამ სფეროში მეგზურობას გვიწევს, უცხოური ენის შემსწავლელებს (მასწავლებლებსაც) გვეხმარება იდიომების სრულად გაგებასა და მათ კორექტულ გამოყენებაში.

ლექსიკონი მოიცავს ბრიტანულ და ამერიკულ იდიომებს, მდიდარია ფორმათა და გამოყენებათა ვარიაციებით. რაც შეეხება ინგლისური ენის ავსტრალიურ ვარიანტში გამოყენებულ იდიომებს, ისინი შეიცავენ როგორც ბრიტანულ, ისე ამერიკულ იდიომებს. ამიტომ, როცა კომენტარი კეთდება, რომ ესა თუ ის იდიომი გამოიყენება მხოლოდ ბრიტანულ ან ამერიკულ ინგლისურში, სავარაუდოდ, არც ავსტრალიური ინგლისური გამოირიცხება. მიუხედავად ამისა, ლექსიკონში შესულია საკუთრივ

ავსტრალიური იდიომების ის მცირე ნაწილიც, რომლებიც დღესდღეისობით იქ ფართოდაა გამოყენებული. იგივე მდგომარეობაა ინგლისური ენის სხვა ვარიანტებთან მიმართებაშიც. ლექსიკონში მითითებულია ბევრი იდიომის წარმოშობა, ამით ავტორები ცდილობენ გვიჩვენონ, თუ როგორ შეიძინეს მათ თანამედროვე იდიომატური მნიშვნელობა. ზოგიერთ შემთხვევაში იდიომი წარმოშობილია ანდაზიდან ან ხატოვანი გამოთქმიდან. მაგალითად, to call the tune მომდინარეობს ანდაზიდან he who pays the piper calls the tune. ზოგიერთი იდიომი კი სპეციფიკური სფეროდან მომდინარეობს ან უკავშირდება ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს. ზოგჯერ რამდენიმე ახსნაა მოცემული იდიომის წარმოშობის შესახებ. Collins COBUILD Dictionary of Idioms იძლევა მოკლე მიმოხილვას ამა თუ იმ სათაურო სიტყვისა, რათა უცხოური ენის შემსწავლელებს გაუადვილდეთ მათი გაგება.

ა. კუნინის ინგლისურ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი

ამ ლექსიკონის ავტორს მიზნად არ ჰქონია მოეცვა თანამედროვე ინგლისური ენის მთელი ფრაზეოლოგია. ამიტომ, მასში ჩართულია მხოლოდ ის ძირითადი მასალა, რომელიც გათვლილია ინგლისური და ამერიკული მხატვრული თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურისა და პრესის მკითხველებზე, თარჯიმნებზე, სტუდენტებსა და მეცნიერ მუშაკებზე.

ლექსიკონის მთავარი მახასიათებლებია:

- ყველაზე გავრცელებული ინგლისური მყარი შესიტყვებების შერჩევა;
- მათი მრავალმნიშვნელობიანობისა და სტილისტიკური თავისებურებების გამოვლენა;
- ლექსიკონი გაწყობილია კონსტანტური, ანუ შედარებით მყარი ელემენტების შეუნაცვლებლობის გამოყოფის პრინციპის მიხედვით; ფრაზეოლოგიზმები დაჯგუფებულია სიტყვათა ბუდეებში;

- გამოყოფილია მრავალმნიშვნელობიანი და ომონიმური ერთეულები;
- საგულისხმოა ფრაზეოლოგიური ვარიანტებისა და სტრუქტურული სინონიმების ჩართვა ლექსიკონში;
- ხდება ფრაზეოლოგიური ერთეულების სიტყვათწარმოებითი და ფრაზისწარმოებითი როლის გამოვლენა;
- მოსაწონია გრამატიკული, სტილისტური და ეტიმოლოგიური კომენტარების არსებობა;
- უზრუნველყოფილია ინგლისური კლასიკური თუ თანამედროვე ამერიკული მხატვრული ლიტერატურის, პუბლიცისტიკისა და პრესის ფართოდ გამოყენება ფრაზეოლოგიური ერთეულების საილუსტრაციოდ.

ლექსიკონში შესულია მყარი შესიტყვებები, რომლებიც XIX და XX საუკუნეებში ფართოდ გამოიყენებოდა ინგლისურ ენაში. იგი წარმოდგენილია საყოველთაოდ ხმარებული იმ კონსტრუქციების გვერდით, რომლებიც სასაუბრო ენისა და ინგლისელი თუ ამერიკელი კლასიკოსებისა და თანამედროვე გამოჩენილი მწერლების (მაგალითად, თ. დრაიზერი, უ. ფოსტერი, პ. დატი, დ. ოლდრიჯი, დ. ლინდსი, თ. ჰარდი, კ. პრიჩარდი) ნაწარმოებებში გვხვდება. თანამედროვე პრესის ფრაზეოლოგიის გვერდით ლექსიკონში მოყვანილია მაგალითები მხოლოდ შედარებით გავრცელებული ინგლისელი კლასიკოსების ნაწარმოებებიდან, რომელთაც სათავეში უ. შექსპირი უდგას.

გულგარული და ადგილობრივი დიალექტებისთვის და-მახასიათებელი გამოთქმები, როგორც წესი, ლექსიკონში არ არის შეტანილი.

ლექსიკონში ჩართულია ყველაზე ფართოდ გავრცელებული ავსტრალიზმები, ირლანდიზმები და შოტლანდიზმები, რომლებიც თანამედროვე ლიტერატურაში გვხვდება (მაგალითად, ავსტრალიზმია fair go! ირლანდიზმი – the top of the morning to you! და სხვ.).

ლექსიკონი შეიცავს აგრეთვე ზოგიერთ ყველაზე ხშირად ხმარებულ ქარგონულ კონსტრუქციას (მაგალითად, a blue funk, to kick the bucket და სხვ.).

ტექნიკური ლიტერატურისა და სხვა დარგების ვიწრო სპეციალური ფრაზეოლოგია ლექსიკონში შეტანილი არ

არის. ლექსიკონში მოცემულია შედარებით საერთო მნიშვნელობის ფრაზეოლოგია, რომელიც გეხედება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურაში როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით (მაგალითად, means of production, come up to the scratch).

ლექსიკონში ფართოდაა წარმოდგენილი პოლიტიკური ფრაზეოლოგიაც.

ავტორმა საჭიროდ არ ჩათვალა ლექსიკონის გადატვირთვა ინგლისურ ენაში არსებული წოდებული ნახევრად ფიქსირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების უზარმაზარი რაოდენობით. ვინაიდან უმეტესი მათგანის გაგება და თარგმნა ისედაც რთული არაა. ამ კატეგორიის შესიტყვებებიდან შერჩეულ იქნა მხოლოდ ყველაზე გავრცელებული, განსაკუთრებით კი ისეთები, რომლებიც განსხვავდება რუსულ ენაში არსებული შესიტყვებებისაგან, მაგალითად, bear resemblance - иметь сходство და სხვ.

„ზედსართავი სახელი+არსებითი სახელი“ ტიპის მყარი შესიტყვებებიდან გვეძლევა მხოლოდ ხატოვანი კონსტრუქციები ან ტერმინები. მაგალითად, a bad man, a black dog, a blind path, the golden opportunity, the naked truth და სხვა.

Give in, put over და ამ თიპის მარი კონსტრუქციები ლექსიკონში არ არის წარმოდგენილი, რადგან, ა. კუნინის აზრით, ისინი არ არიან ფრაზეოლოგიური ერთეულები.

რაც შეეხება მთლიანად გადააზრებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, როგორც შესიტყვებებს, ისე წინადადებებს, ანდაზების ჩათვლით (მაგალითად, to gain the opportunity, to pull somebody's leg, is your father a glazier? ships that pass in the night, as well be hanged for a sheep as for a lamb და სხვ.), მათი შერჩევისას ავტორი ხელმძღვანელობდა იმავე პრინციპებით, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო ამ ლექსიკონის აღწერის დასაწყისში. ეს მართებულია სხვა ტიპის ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან მიმართებაშიც. აქ იგულისხმება ხატოვანი შედარებები, რომლებშიც პირველი კომპონენტი ყოველთვის გამოიყენება პირდაპირი მნიშვნელობით (მაგალითად, as fit as a fiddle); არქაული ელემენტის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულები (მაგალითად,

hue and cry, in a trice, toil and moil, without let or hindrance) – წინდებული + დამოუკიდებელი სიტყვა (at all, at large, by heart) ან ორი დამხმარე + ერთი დამოუკიდებელი სიტყვა (in the bag, on the cards, to the letter) და სხვა ტიპის ერთეულები.

ლექსიკონში მოცემულია ინგლისურ ენაში ფართოდ გავრცელებული შესიტყვებები „არსებითი სახელი + არსებითი სახელი“, რომლებიც მთლიანად გადააზრებულია (მაგალითად, cannon fodder, gold brick, sky pilot, silver lining), და შესიტყვებები, რომლებშიც გადააზრებულია მხოლოდ ერთი კომპონენტი (silver wedding). უმრავლეს შემთხვევაში, ამ ტიპის შესიტყვებები იწერება როგორც ცალ-ცალკე, ისე დეფისით. თუმცა, ცალ-ცალკე დაწერის ფაქტი არ ნიშნავს, რომ ჩვენს წინაშე შესიტყვებაა და არა რთული სიტყვა. ეს, უბრალოდ, მიუთითებს ინგლისური მართლწერის არამდგრადობაზე. ცალკე მახვილიც არ ადასტურებს წარმონაქმნის ფრაზეოლოგიურობას, რადგან ის ბევრ რთულ სიტყვას ახასიათებს. ჩვეულებრივ, ასეთი შესიტყვებები იწარმოება გარკვეული სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელის მიხედვით. მაგალითად: angel food, angel appearance, angel voice და სხვ.). არსებობს ყველა საფუძველი იმისა, რომ მსგავსი წარმონაქმნები ჩაითვალოს რთულ სიტყვებად და არა ფრაზეოლოგიურ ერთეულებად. მიუხედავად ამისა, ავტორმა მიზანშეწონილად მიიჩნია მათი ჩართვა ლექსიკონში, რადგან თანამედროვე ინგლისურ ენაში ყოველთვის არ ხერხდება მკვეთრი საზღვრის გავლება ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და რთულ სიტყვებს შორის. ასეთი შესიტყვებები ა. კუნიმა ლექსიკონში იმიტომაც შეიტანა, რომ მათ შეუძლიათ ადვილად შეიყვანონ შეცდომაში ფრაზეოლოგიაში გაუთვითცნობიერებელი ადამიანი.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ლექსიკონში შესულია ფრაზეოლოგიასთან მიახლოებული არაფრაზეოლოგიური ხასიათის ზოგიერთი მყარი სიტყვიერი ჯგუფებიც.

მასალა ლექსიკონში განლაგებულია ისე, რომ მკითხველს გაუადვილდეს საჭირო ფრაზეოლოგიური ერთეულის სწრაფი მოძებნა:

- ერთეულები ანბანის მიხედვითაა განლაგებული;
- ლექსიკონში არის ჯვარედინი მითითებები (ყოველი ასოს ფარგლებში);
- რეალიზებულია ნუმერაცია და ანბანური სია მოცემულია ლექსიკონის ბოლოში.

The LTP Dictionary of Selected Collocations

დასახელებული ლექსიკონი არ არის ტრადიციული ტიპის. ეს არის ახალი, პროდუქტული სახის ლექსიკონი, რომელიც ინგლისური ენის შემსწავლელებს ეხმარება უფრო ეფექტურად გამოიყენონ სიტყვები, რომლებიც მათ უკვე იციან. ლექსიკონების უმრავლესობა კი, როგორც ვიცით, გვეხმარება ჩვენთვის უცნობი სიტყვების მნიშვნელობების მოძებნაში.

ლექსიკონი გათვლილია შესასწავლი ენის ცოდნის საშუალო და უმაღლესი დონის მქონე შემსწავლელებისთვის. ლექსიკონი პასუხობს კითხვებს, რომლებიც წამოიჭრება წერის, თარგმანის ან მეტყველების პროცესში.

ლექსიკონების უმრავლესობაში ერთეულები (entries) ცალკეული სიტყვის მნიშვნელობებს გვაძლევს. მაგრამ, სიტყვები ძალიან იშვიათად გამოიყენება ცალკე. წერისას ან საუბრისას ჩვენ გვიხდება სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება. ეს ლექსიკონი სწორედ სიტყვათა კომბინაციებისა და მყარი (თუნდაც, არა იდიომატური) შესიტყვებების ლექსიკონია.

როდესაც ვსაუბრობთ ან ეწერთ, გვიხდება სხვადასხვა სიტყვათა კომბინაციების გამოყენება, თუმცაღა, ზოგიერთი მათგანი უფრო შესაფერისია სხვებთან შედარებით. არის სიტყვები, რომლებიც ძალიან იშვიათად გვხვდება ერთად, ზოგიერთი კი - იმდენად ხშირად, რომ, როცა ერთ მეწყვილე სიტყვას ვხედავთ, ჩვენ დაბეჯითებით ველოდებით იქ მეორე სიტყვის გამოჩენასაც. ამ სპეციალურ კომბინაციებს collocations ეწოდება; იგი ყველა ენაში არსებობს. მოცემულ ლექსიკონში შესული შესიტყვებების ყველაზე მნიშვნელოვანი ტიპებია:

Adjective+noun: fatal accident, golden opportunity;

Verb+noun: accept responsibility, undermine (my)self-confidence;

Noun+verb: the gap widened, a fight broke out;

Adverb+adjective: highly desirable, potentially embarrassing;

Verb+adverb: discuss calmly, lead eventually to.

რა თქმა უნდა, ლექსიკონი არ მოიცავს ინგლისური ენის ყველა შესიტყვებას. ასეთ შემთხვევაში, ეს უზარმაზარი და გამოსაყენებლად რთული იქნებოდა. შერჩეულია ისეთი შესიტყვებები, რომლებიც უფრო სასარგებლო და ადვილია ინგლისური ენის შემსწავლელთათვის.

ინგლისურ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი

ეს ლექსიკონი ინგლისურ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის შექმნის პირველი მცდელობაა. ნომინაციის თანამედროვე ლინგვისტური თეორიის საფუძველზე ფრაზეოლოგიური ერთეულის სხვა ენობრივი ერთეულისაგან გამოჯენის ძირითად კრიტერიუმად ხატონება მიიჩნევა. ენის ფრაზეოლოგიური ფონდი მოიაზრება სისტემად, რომლის ცენტრში თავსდება „საკუთრივ ფრაზეოლოგიზმები“. ლექსიკონში ჩართულია ინგლისურ და ქართულ ფრაზეოლოგიაში „ფიზიკური მოქმედების“ სემანტიკურ ველში გაერთიანებული ზმნური ფრაზეოლოგიური ერთეულები. აღნიშნული ფრაზეოლოგიზმები მოძიებულია თანამედროვე ფრაზეოლოგიულ წყაროებში. ლექსიკონი მოიცავს, აგრეთვე, რამდენიმე ყველაზე ფართოდ ხმარებულ ქარგონსაც (მაგალითად: “go to blazes”). ის ვულგარული გამონათქვამები და გამოთქმები, რომლებიც დამახასიათებელია ადგილობრივი დიალექტებისათვის, როგორც წესი, ლექსიკონში არაა წარმოდგენილი.

რაც შეეხება სალექსიკონო მასალის პრეზენტაციის საკითხს, მისი ავტორი არ იზიარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ლექსიკონში მასალის განლაგება უნდა ხდებოდეს ფრაზეოლოგიური ერთეულის აზრობრი-

ვი ცენტრის ანბანური პრინციპის მიხედვით. მასალის ამგვარი ორგანიზება მისაწვდომი იქნება ლექსიკონის მომხმარებელთა მხოლოდ ნაწილისთვის. თითოეულ ფრაზეოლოგიურ სემანტიკურ ჯგუფში ფრაზეოლოგიური მასალის განლაგება პირველი კომპონენტის ანბანური პრინციპის მიხედვით კი ლექსიკონის გამოყენების საშუალებას მისცემს არა მხოლოდ ენის სპეციალისტებს, არამედ საერთოდ, ინგლისური ენის შემსწავლელებს.

ლექსიკონში „ფიზიკური მოქმედებების“ ფრაზეოლოგიურ-სემანტიკური ველის სისტემატიზაცია ხდება ორი თვალსაზრისით:

1. აიგება აღნიშნული ველის იერარქია. ველში ფრაზეოლოგიურ-სემანტიკური ჯგუფების განლაგებას საფუძველად უდევს ფიზიკური მოქმედების ინტენსივობის ზრდის ორიგინალური პრინციპი. „სუბიექტით შემოფარგლული ფიზიკური მოქმედების“ მიკროველში ფიზიკური მოქმედების მინიმალური ინტენსივობის გამომხატველად მიიჩნევა ფრაზეოლოგიურ-სემანტიკური მოდელი: „სახის მიმიკის შეცვლა“, მაქსიმალურისა – „თავის მოკვლა“. „სუბიექტიდან ობიექტზე მიმართული ფიზიკური მოქმედების“ მიკროველის ბირთვში მინიმალურად მიჩნეულია – „ხელის ჩამორთმევა“, მაქსიმალურად – „მოკვლა“; პერიფერიაზე მინიმალურად მიიჩნევა „სამაგიეროს გადახდა“, მაქსიმალურად – „განადგურება“.
2. „ფიზიკური მოქმედების“ ფრაზეოლოგიურ-სემანტიკურ ველში გაერთიანებული ფრაზეოლოგიური ერთეულები ნომინაციის თანამედროვე ლინგვისტური თეორიის საფუძველზე დაჯგუფდება სრულ ან არასრულ ფრაზეოლოგიურ ანალოგებად. ინგლისურ და ქართულ სრულ ფრაზეოლოგიურ ანალოგებად მიჩნეულია ის ფრაზეოლოგიზმები, რომელთაც ახასიათებს იდენტური ლექსიკურ-გრამატიკული სტრუქტურა და დენოტატურ-სიგნიფიკატური მნიშვნელობის სრული დამთხვევა. საკვლევე ველში წარმოდგენილ დანარჩენ ერთეულებს ახა-

სიათებს მხოლოდ დენოტატურ სიგნიფიკატური მნიშვნელობის დამთხვევა, რის გამოც იგი შეფარდებით ანალოგებადაა მიჩნეული. რაც შეეხება კონოტაციურ-პრაგმატულ მნიშვნელობას, იგი სამივე სახის ეკვივალენტში გარკვეული მოდიფიკაციებითაა წარმოდგენილი.

ინგლისურ ფრაზეოლოგიზმებთან ანალოგიურობის პრინციპის დაცვის მიზნით, პირიანი ფორმის ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულები („ქუსლები უკან რჩებათ“) ლექსიკონში მოცემულია უპირო ფორმით („ქუსლების უკან დარჩენა“). რაც შეეხება ფრაზეოლოგიური ერთეულის პირველი კომპონენტის ანბანურ პრინციპს, იგი ინგლისურში ყველა და ქართულ ფრაზეოლოგიზმთა ძირითად ნაწილში დაცულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მისი დარღვევის აუცილებლობას ინგლისურ ფრაზეოლოგიზმებთან ანალოგებად დაჯგუფების დროს.

საილუსტრაციო მაგალითები აღებულია ინგლისელ, ამერიკელ და ქართველ მწერალთა ნაწარმოებებიდან. ლექსიკონი, ძირითადად, შემოიფარგლება იმგვარი მაგალითებით, სადაც ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ფიზიკური მოქმედების გამომხატველ ფრაზეოლოგიურ-სემანტიკურ ვარიანტთა აქტივიზაცია ხდება.

განსახილველ ლექსიკონში ინგლისური მასალის თარგმანი ითვალისწინებს ჩატარებული კვლევის შედეგებს, რაც სრულად შეესაბამება თარგმნის მეთოდის მოთხოვნებს. გარდა ამისა, ავტორი იზიარებს აზრს, რომ ინგლისური ფრაზეოლოგიზმების ადეკვატური თარგმნის პროცესში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ნომინაციური ბუნების სპეციფიკა, რაც მათ ხატოვნურ საფუძველთანაა დაკავშირებული. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სრული ადეკვატურობა მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა: საგნობრივ-ლოგიკური, ემოციურ-შემფასებლური, ფუნქციურ-სტილისტური და პრაგმატული ადეკვატურობა. აქედან, პირველი სამის არსებობა მეოთხის რეალიზაციის აუცილებელი გარანტია. საილუსტრაციო მაგალითებში ამ კრიტერიუმით ითარგმნება ისეთი ინგლისური ფრაზეო-

ლოგიზმები, რომელთაც სრული და არასრული ქართული ფრაზეოლოგიური ანალოგები მოეპოვებათ. შეფარდებითი ანალოგების თარგმანი კი ეყრდნობა ვ. ნაიდის პრინციპს, რომელიც ნათარგმნის მეშვეობით მკითხველზე ორიგინალურის ადეკვატური ეფექტის მოხდენას ითვალისწინებს.

ნებისმიერი ლექსიკონის ხმარების უნარ-ჩვევები სპეციალურ დახვეწა-გამომუშავებას საჭიროებს, მით უმეტეს ფრაზეოლოგიური ლექსიკონისა, რომლის გამოყენებას, მშობლიური ენის ლექსიკონთან მიმართებაშიც კი, სტუდენტები მიჩვეული არ არიან.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ აუცილდება როგორც ერთენოვანი (განმარტებითი), ისე ორენოვანი (თარგმნითი) ლექსიკონებით სარგებლობის ჩვევების გამომუშავება.

თუ ლექსიკონი გამოიყენება რეცეფციის (აღქმის) მიზნით, სტუდენტებმა, უპირველესად, ტექსტში უნდა იპოვონ ფრაზეოლოგიური ერთეულის ყველა კომპონენტი, შემდეგ კი მათ შორის გამოიყონ ცენტრალური; როგორც უკვე ავღნიშნეთ, ეს ხშირად საკმაოდ რთულია. სტუდენტებს პერიოდულად უნდა მიეცეს დავალება – იპოვონ წასაკითხ ტექსტში ფრაზეოლოგიური ერთეულები მოცემული სიტყვებით და გამოიყონ ამ შესიტყვებებში მთავარი სიტყვა.

თუ ლექსიკონი გამოიყენება მშობლიური ენიდან თარგმნის მიზნით ან ზეპირმეტყველებასა და წერაში შესიტყვებების კორექტულობის მისაღწევად, სასურველია ისეთი ლექსიკონების გამოყენება, რომლებიც, The LTP Dictionary of Selected Collocations-ს მსგავსად, ყურადღებას ამახვილებენ იმ კონტექსტზე, სადაც გამოიყენება შესასწავლი ლექსიკა. ამ მიზნით, სასარგებლოა სტუდენტებს დავალოთ (ლექსიკონის საშუალებით ან გავლილ მასალაზე დაყრდნობით) ორი (ან მეტი) სვეტიდან აღებული შესიტყვებების შედგენა. ქართულ-ინგლისური ფრაზეოლოგიური ლექსიკონის არარსებობა მნიშვნელოვნად რთულებს ქართულენოვანი იდიომების თარგმნას, რაც, ძირითადად, ინტუიციურად ხდება. მნიშვნელოვანია, სტუდენტებმა თავი აარიდონ სიტყვასიტყვით თარგმნას.

II ტაში

კითხვის უნარ-ჩვევების ლექსიკური (ფრაზეოლოგიური) ასპექტის სწავლების მეთოდური და პედაგოგიური საშუაშლები

2.1. ფრაზეოლოგიური მასალის შერჩევა- ორგანიზების პრინციპები

უცხოური ენების სწავლების მთავარი მიზანია კომუნიკაციური კომპეტენციის ჩამოყალიბება-სრულყოფა. მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს ლინგვისტური კომპეტენცია (ლექსიკური, გრამატიკული, ფონეტიკური ჩვევები) შეადგენს, ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს კი – ფრაზეოლოგია. უცხოური ენის სწავლების დაბალ საფეხურზე ფრაზეოლოგია (რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება, უმეტეს შემთხვევაში, არის მეტყველებისათვის ემოციური შეფერილობის მიცემა) ნაკლებად ისწავლება. სწავლების მაღალ საფეხურზე კი, და, მით უმეტეს, ენობრივ ფაქულტეტებზე, ფრაზეოლოგიის სწავლებას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა (განსაკუთრებით, ლექსიკისა და კითხვის სწავლებისას).

ლექსიკური (მათ შორის, ფრაზეოლოგიური) ერთეულების გამოყენების უნარ-ჩვევები სამეტყველო აქტივობის ოთხივე ძირითადი სახის შემადგენელი კომპონენტებია. მაშასადამე, საჭიროა შეირჩეს ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ აუდირობის, საუბრის, კითხვისა და წერის პროცესში.

ლექსიკური მასალის შერჩევისას გამოყოფენ ე. წ. აქტიურ (პროდუქტულ + რეცეპტულ) და პასიურ (რეცეპტულ) მინიმუმს. აქტიური მინიმუმისთვის შეირჩევა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთა გამოყენებაც უცხოური ენის შემსწავლელმა უნდა შეძლოს სამეტყველო აქტივობის ოთხივე ძირითადი სახით სარგებლობისას. პასიური მინიმუმისთვის კი გამოსადეგია მხოლოდ ის ერთეულები, რომლებიც გასაგები იქნება მისთვის აუდირობისა და კითხვის პროცესში, მაგრამ რომელთაც იგი (თითქმის) არ გამოიყენებს საუბრისა და წერის პროცესში. პასიურ

ლექსიკაში იგულისხმება ასევე ე. წ. „პოტენციური ლექსიკა“ – სიტყვები, რომლებიც უცხოური ენის შემსწავლელებს არ „გაუვლიათ“, მაგრამ, რომელთა დეკოდირებაც უნდა შეძლონ სიტყვათმანარმოებელი ელემენტებისა და მოდელების ცოდნაზე დაყრდნობით, კონტექსტის ანალიზის გამოყენებით.

სირთულეები, რომლებსაც უცხოური ენის შემსწავლელი ხვდება ფრაზეოლოგიის რეცეფცია-პროდუქციისას, გარკვეულწილად, განსხვავდება სხვა, სტრუქტურულად და შინაარსობრივად უფრო მარტივი ლექსიკის შესწავლის სირთულეებისგან.

უცხოელმა შეიძლება ენობრივად კორექტულად იმეტყველოს შესასწავლ ენაზე, მაგრამ მის მეტყველებას აკლია ხოლმე ის ელფერი, რომელიც მას ავთენტიკურად აქცევს და რომელშიც უდიდესი წვლილი სწორედ ფრაზეოლოგიას მიუძღვის. თავიანთი მეტყველებისთვის ამ ელფერის მისაცემად უცხოური ენის მაღალი დონის შემწავლეებს ხშირად სურვილი უჩნდებათ საუბრისას ჭარბად გამოიყენონ ფრაზეოლოგიური ერთეულები. მშობლიურ ენაზე მეტყველებისგან განსხვავებით, უცხოურ ენაზე მოსაუბრისათვის ზოგჯერ რთულია, განისაზღვროს მათი რელევანტური „კონცენტრაცია“ გამონათქვამში. ამრიგად, უცხოენობრივი ფრაზეოლოგიის ჩართვა საკუთარ საუბარში, მისგან დიდ ტაქტს მოითხოვს. ის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებსაც სტუდენტი გამოიყენებს, სტილისტურად სიტუაციისა და კონტექსტის ადეკვატური უნდა იყოს; სემანტიკური ასპექტიც ზუსტად უნდა იყოს დაცული. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომუნიკაცია უფრო მეტად დაირღვევა, ვიდრე იზოლირებული უზუსტო სიტყვის გამოყენებისას.

წერისა და კითხვის პროცესში საჭიროა და შესაძლებელიცაა ფრაზეოლოგიური ლექსიკონის გამოყენება, რაც მნიშვნელოვნად უიოლებს სტუდენტს ამოცანას და შეცდომების დაშვების რისკიც მინიმუმამდე დაჰყავს. გასათვალისწინებელია დროის ფაქტორიც და მეტყველების „ეფემერულობა“ (იგი ეფემერულია, რადგან მას უმეტეს შემთხვევაში ვერ დაუბრუნდებათ), რომელიც ზღუდავს

ფრაზეოლოგიის გაგება-გამოყენებას ზეპირმეტყველებისას, თუმცა, წერა-კითხვისას არ ახდენს სტუდენტზე უარყოფით ზეგავლენას.

შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს, რომელ ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან ექნება სტუდენტს შეხება რეალური ზეპირი კომუნიკაციისას. აუდირებისას ფრაზეოლოგიის სემანტიკის გაგების სირთულეების გადასაღებად მხოლოდ თანამოსაუბრეს თუ მიემართავთ. თანამოსაუბრის წარმოთქმის თავისებურებები, მისი უნარი (უფრო ზუსტად, უუნარობა) განმარტოს, რას გულისხმობს, სერიოზულად აბრკოლებს კომუნიკაციას. ამიტომ, აუცილებელია, პირველ ყოვლისა, შეირჩეს ზეპირმეტყველებისას ხშირად გამოყენებული ფრაზეოლოგია, და შემდეგ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, სტუდენტებს უნდა შეუმუშავდეთ შეუსწავლელი ფრაზეოლოგიის გაგების ე.წ. საკომპენსაციო სტრატეგიები.

ამდენად, ფრაზეოლოგიური მინიმუმის შესადგენად, მიზანშეწონილია შესასწავლი ფრაზეოლოგია შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

- 1) ფრაზეოლოგია, რომელსაც სტუდენტი საკუთარ საუბარში (speaking) გამოიყენებს (დაახლოებით 1000 ერთეულამდე, I-II კურსზე);
- 2) ფრაზეოლოგია, რომელსაც სტუდენტი ადეკვატურად აღიქვამს აუდირებისას (1500 ერთეულამდე + პოტენციური მინიმუმი);
- 3) ფრაზეოლოგია, რომელსაც სტუდენტი წერისას გამოიყენებს (2000 საბაზისო ერთეულამდე + ლექსიკონით სარგებლობის სტრატეგიები);
- 4) ფრაზეოლოგია, რომელსაც იგი გაიგებს კითხვის პროცესში (ლექსიკონის გამოყენებით, პრაქტიკულად ნებისმიერი ოდენობით).

ფრაზეოლოგიური მინიმუმის შესარჩევად გამოდგება მხოლოდ ზოგიერთი ის პრინციპი, რომელიც საერთოდ ლექსიკის შერჩევისას გამოიყენება (ასე, მაგალითად, ვერ გამოდგება შესიტყვების უნარის, სტილისტური შეუზღუდაობის, სიტყვათმწარმოებელი ღირებულების პრინციპები).

პირველი ჯგუფის ფრაზეოლოგია (რომელსაც სტუდენტი საკუთარ საუბარში გამოიყენებს) ძალიან მკაცრად უნდა შეირჩეს. ჩვენი აზრით (ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით), მისი შერჩევის პრინციპები შემდეგი უნდა იყოს:

- 1) შესასწავლი თემატიკის შესაბამისობა;
- 2) სემანტიკური ღირებულება;
- 3) სიხშირე
- 4) სინონიმების გამორიცხვა;
- 5) მშობლიურ ენაში ეკვივალენტებისა და ანალოგების არქონა (პირველი ოთხი პრინციპის დაცვის შემთხვევაში).

აუდირების მიზნით, ფრაზეოლოგიის სწავლებისათვის მთლიანად გამოსადეგია პირველი ჯგუფის ფრაზეოლოგია (1000 ფრაზეოლოგიური ერთეული); მას ემატება გარკვეული რაოდენობა იმ ფრაზეოლოგიური ერთეულებისა, რომლებზეც უარი ეთქვით სინონიმების გამორიცხვის პრინციპის გამო (დაახლოებით 500 ერთეული). გარდა ამისა, აუდირებისა და კითხვის უნარ-ჩვევების სრულყოფის მიზნით, სტუდენტებს უნდა გავაცნოთ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ტიპები და მათში შემავალ სიტყვებს შორის დამახასიათებელი ურთიერთობები. ეს უზრუნველყოფს დეკოდირების სტრატეგიის შემუშავებას (კონტექსტზე დაყრდნობით).

წერისას გამოსადეგი ფრაზეოლოგიური ერთეულების მოცულობის კიდევ დაახლოებით 500 ერთეულით გაზრდა უნდა მოხდეს წერილობითი ენისთვის დამახასიათებელი ერთეულების ხარჯზე. სტუდენტებს უნდა შეუმუშავდეთ უნარი, იპოვონ ბირთვული სიტყვა ფრაზეოლოგიურ ერთეულში, რომლის მიხედვითაც ისინი საჭირო ფრაზეოლოგიურ ერთეულს მოძებნიან, ან მის მნიშვნელობასა და ფორმას ლექსიკონში შეამოწმებენ.

კითხვის მიზნით ფრაზეოლოგიური მინიმუმი არ შეირჩევა, რადგან უცხოური ენის სპეციალისტისთვის ეს მასალა უსაზღვროა. ლექსიკონის ან უფრო კომპეტენტური მკითხველის მეშვეობით სტუდენტებმა უნდა შეძლონ ნებისმიერი ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის

განსაზღვრა კონტექსტზე დაყრდნობით. ამავე დროს, კითხვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს „წერის მინიმუმისთვის“ შერჩეულ ერთეულებს.

უცხოური ენების კომუნიკაციურმა პრინციპმა განსაზღვრა ახლებური მიდგომა ლექსიკური (და ფრაზეოლოგიური) ერთეულების შერჩევისადმი. ლექსიკური მასალის შერჩევისას ავტორები ითვალისწინებენ არა მხოლოდ ერთეულების გამოყენების სიხშირეს, არამედ სიხშირის მეტ ან ნაკლებ სტაბილურობასაც. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შერჩევის ტრადიციულ პრინციპებთან ერთად, მეთოდისტებმა წამოაყენეს მოსაზრების ცნობიერებაში ამ ფრაზეოლოგიური ერთეულის შესაბამისი მოვლენის არსებობის პრინციპი. ფრაზეოლოგიური ერთეულების შერჩევა განისაზღვრება მათი სიახლოვით შესასწავლ თემატიკასთან/ტექსტთან.

გარკვეული პრინციპებითა და მოსაზრებებით შერჩეული ფრაზეოლოგიური ერთეულები, შერჩეულ ლექსიკურ, გრამატიკულ და ფონეტიკურ მასალასთან ერთად, სწავლების შინაარსს შეადგენს, რაც აისახება უცხოური ენის სახელმძღვანელოებში, დამხმარე სახელმძღვანელოებსა და საგანმანათლებლო სტანდარტებში (პროგრამებში).

ფრაზეოლოგიური ერთეულების შერჩევის შემდეგ, საჭიროა მასალის ორგანიზება, რაც, მათი თვისებების სიძნელეთა გათვალისწინებითა და სამეტყველო აქტიუობათა თავისებურებების მხედველობაში მიღებით, ასათვისებელი შესიტყვების ტიპის განსაზღვრას გულისხმობს. ეს უკანასკნელი კი, ენათა შედარება-შეპირისპირების შედეგად ვლინდება.

უცხოური ენების სწავლების კომუნიკაციური მიზნების პირობებში, ენათა ტიპოლოგიური შეპირისპირებისას მნიშვნელოვანია უცხოური და მშობლიური ენების შესატყვისი ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ანალიზი. ერთ ენაში ფრაზეოლოგიური ერთეულით გადმოცემული მნიშვნელობა (შინაარსი) შეიძლება მეორე ენაში ფრაზეოლოგიური შენაერთის გარეშე გადმოიცეს. ფორმით თითქოსდა მსგავსი ფრაზეოლოგიური ერთეულები, ხშირად განსხვავდებიან შინაგანი ხატოვნებით და ა.შ.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლექსიკური შემადგენლობის თავისებურება შეიძლება ორი ფაქტორით განისაზღვროს: პირველი – ერთი ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკა რამდენადაა ობიექტური რეალობა მეორე ენისათვის; მეორე – ფრაზეოლოგიის ათვისების სიძნელები ბევრჯერ განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სიტყვათა მნიშვნელობისას მათი მოცულობა ორ ენაში განსხვავებულია.

ცნობილია, რომ ადამიანის მეხსიერებაში ლექსიკური მარაგი სისტემატიზებულია ორგანიზებული. ლინგვისტიკის მიერ შემუშავებული ლექსიკურ-სემანტიკური ეელები და ჯგუფები შედარებით ფართო (მაგალითად, ამინდი) და უფრო ვიწრო (მაგალითად, ნალექები) თემატიკის სიტყვებს შეიცავს. ანალოგიური პრინციპითვე მიზანშეწონილია ფრაზეოლოგიური ერთეულების ორგანიზება პროგრამის შედგენისას.

პ. ლიტვინოვის [П. П. Литвинов, 2001, გვ. 16] მიერ შემოთავაზებულია ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ფუნქციური (იგულისხმება – რა კომუნიკაციური მიზნით გამოიყენება მოცემული ერთეული) კლასიფიკაციის ნიშნები:

- I. საყოფაცხოვრებო ერთეულები სხვადასხვა სიტუაციისათვის;
- II. საუბრის სტრუქტურირებისთვის სასარგებლო ერთეულები (საუბრის სტადიები, გაგების დადასტურება, კამათი);
- III. ლოგიკური და ემოციური რეაქცია, კერძოდ:
 1. თანხმობა, დადასტურება, დარწმუნებულობა;
 2. უარყოფა, ეჭვი;
 3. ინფორმაციის არქონა, გაკვირვება;
 4. მოწონება, შექება;
 5. არმოწონება;
 6. გაღიზიანება, განრისხება;
 7. ინდიფერენტულობა.
- IV. საუბრის კომუნიკაციური ამოცანა:
 1. აზრის გარკვევა;
 2. ნებართვის თხოვნა – მისი მიცემა;
 3. თხოვნა;

4. შეთავაზება;
5. რჩევა, ბრძანება;
6. გაფრთხილება, აკრძალვა;
7. დამშვიდება, თანაგრძნობის გამოხატვა.

V. ზოგადი გამონათქვამები მუშაობის შესახებ:

1. ზოგადი გამონათქვამები, შედეგები;
2. სიტუაციის შეფასება;
3. დაგეგმვა;
4. მუშაობის სტიმულირება.

VI. საკმიან მიწერ-მოწერაში გამოყენებული ფრაზეოლოგიური ერთეულები.

აღნიშნული ჯგუფები დაყოფილია პატარა ქვეჯგუფებად, მაგალითად, საუბრების სტადიებში გამოყოფილია:

1. საუბრის დაწყება (by the way, to begin with, speaking of, where were we? what were you saying?);
2. შერჩეული თემის ირგვლივ საუბრის გაგრძელება (you are getting away from the subject, keep to the point, this is beside the point);
3. ლაკონურობა (in short, skip the details, don't go into details);
4. საუბრის დასრულება (that's all there is to it, but enough of it, to sum up, let us drop the subject).

გარდა ამისა, პ. ლიტვინოვის [П. П. Литвинов, 2001, გვ. 73] მიერ განხილულია ფრაზეოლოგიური ერთეულების დაჯგუფება 32 ძირითად (ყველაზე გამოყენებულ და სემანტიკურად მნიშვნელოვან) ზმნაზე დაყრდნობით. ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურის მიხედვით, მიზანშეწონილია მათი დაჯგუფება ცენტრალური სიტყვის მორფოლოგიური კლასის შესაბამისად (ზმნა, არსებითი და ზედსართავი სახელი). მაგალითად, ზედსართავ სახელთა ირგვლივ აგებული ფრაზეოლოგიური ერთეულების ჯგუფები, მისი აზრით, შემდეგია:

- I. ობიექტური სამყარო (დედამიწა, ნივთიერება, დრო, თვისება, ზომა, ანატომია, კვება, კომუნიკაცია, სიტუაცია);

- II. ემოციები (დადებითი, უარყოფითი, ქცევისა და მდგომარეობის შეფასება);
- III. ლოგიკა/ინფორმაცია (ინტელექტი, ცოდნა, წესები, პრობლემები, ინფორმაცია, შეფასება);
- IV. საქმიანობა (სიბეჯითე, სიზარმაცე, დროის ფლანგვა, სიიოლე-სირთულე, ეფექტიანობა);
- V. დამოკიდებულება/ზნეობა (დადებითი და უარყოფითი თვისებები და ქცევა, სამეტყველო მანერები);
- VI. წარმატება/წარუმატებლობა;

VII. სიმდიდრე/სიღარიბე [П. П. Литвинов, 2001, გვ. 132].

ბოლო კატეგორიის ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, მაგალითად, იგი მიაკუთვნებს “as poor as a church mouse” და “as rich as Croesus”.

მეცადინეობებზე პერიოდულად უნდა მივმართოთ ფრაზეოლოგიის ორგანიზების სხვადასხვა პრინციპს და მიეცეთ სტუდენტებს შესაბამისი დავალებები, მაგალითად: „ამოწერეთ ბოლო სამი ტექსტიდან ყველა ფრაზეოლოგიური ერთეული ზმნა “to give“-ის გამოყენებით“; ან „გაიხსენეთ რაც შეიძლება მეტი ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც გამოიყენება უკეთესი მუშაობის სტიმულირებისას“. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა გავიმეოროთ შესასწავლი მასალა და მოვახდინოთ მისი სისტემატიზაცია რამდენიმე კუთხით (რაც მყარი და მრავალფეროვანი ასოციაციური კავშირების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს). ასეთი მუშაობა ნამდვილად შეუწყობს ხელს ფრაზეოლოგიის სწავლების ეფექტიანობის გაზრდას.

22. ფრაზეოლოგიაზე მუშაობა „ლექსიკის“ სწავლებისას

რადგან ჰუმანიტარული ფაკულტეტის ენობრივ მიმართულებებზე არ არსებობს სპეციალური საგანი ფრაზეოლოგიის შესასწავლად, ბუნებრივია, მასზე მუშაობა სხვა საგნების სწავლებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს. ხოლო,

რადგან ფრაზეოლოგიური ერთეულები ლექსიკური ერთეულების სპეციფიკური სახეა, ყველაზე ბუნებრივია ფრაზეოლოგიის შესწავლა გათვალისწინებული იქნეს ლექსიკის (ან სინთეზური საგნის – „ანალიზური კითხვა და ლექსიკა“) სწავლებისას.

ნებისმიერ (მათ შორის, ფრაზეოლოგიურ) ლექსიკურ ერთეულზე მუშაობა (მეტყველებაში მისი გამოყენებისათვის) აუცილებლად უცხოური ენის ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის გახსნას, ანუ სემანტიზაციას გულისხმობს. ფრაზეოლოგიური ერთეულის სემანტიზაცია შეიძლება უცხოური ენების სწავლების სხვადასხვა საშუალებით, მაგალითად: ეთქვათ, ვერბალურით, ანუ სიტყვიერით, რომელშიც იგულისხმება ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის გახსნა მშობლიური და შესასწავლი ენის მასალის მეშვეობით; ანდა საგნობრივ-სურათობრივი (ვიზუალური) საშუალებებით:

on the breadline = to have hardly enough money for bread

hardly make both ends meet = to be very short of money

to run short of = almost not to have

to be strapped for cash = not to have cash

to have more money than sense = to believe that money is enough and wit is not needed

to be rolling in it = to be very rich

to (your) heart's content = as much as you want

to want for nothing = to have everything one wants

he is tower of strength – he is very strong

მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ, ენის კომუნიკაციურად სწავლებისას რეკომენდებული არ არის მივმართოთ მშობლიურ ენას, ზოგჯერ სასარგებლოა ეთხოვოთ სტუდენტებს თარგმნონ მყარი შესიტყვებები და ფრაზეოლოგიური ერთეულები მშობლიურ ენაზე ისე, რომ არ დაიკარგოს მათი სილამაზე და სიზუსტე, მაგ.:

find guilty (სცნო/მიიჩნო დამნაშავედ), knock sb. unconscious (დაარტყა ისე, რომ დააკარგვინო გრძნობა), drive sb. crazy, hold sb. responsible (მიიჩნო პასუხისმგებლად), want sb. killed / hanged / caught / punished (გსურდეს, რომ ვინმე მოკლან, ჩამოახრჩონ, დაიჭირონ, დასაჯონ), lie awake / helpless, stand

motionless, sit quiet / still, escape unharmed / safe, pass unnoticed / undetected, emerge unscathed / uninjured / safe.

ზოგჯერ თარგმნისას აუცილებელია ანალოგიური იდიომის მოპოვება მშობლიურ ენაზე, ხოლო ზოგჯერ იძულებული ვართ, მხოლოდ შინაარსი გადმოვცეთ და ფრაზეოლოგიური ერთეულის გამოყენებას შევეშვათ.

ფრაზეოლოგიის გამეორებასთან დაკავშირებით განიხილება ისეთი პრობლემა, როგორიცაა ფრაზეოლოგიური ერთეულის მტკიცედ დამახსოვრება, ანუ საიმედოდ დაცვა მეხსიერებაში; თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია – რამდენად შესაფერისია ფრაზეოლოგიური ერთეული სამეტყველო აქტივობაში გამოსაყენებლად (ან მის შესანარჩუნებლად). ფრაზეოლოგიური ერთეულის მტკიცედ დამახსოვრების თვისებრივ მაჩვენებლად ითვლება მეხსიერებაში მისი შენახვის ხანგრძლივობა (გამოყენების გარეშე), ანუ გამოყენების ლატენტური პერიოდი. ფრაზეოლოგიური ერთეულის დამახსოვრების სიმტკიცე ლატენტური პერიოდის გახანგრძლივებაშია. სამეტყველო აქტივობაში ფრაზეოლოგიური ერთეულის თავისუფლად გამოყენებისთვის საკმარისია ბუნებრივი გარემოებები: ზეპირი კონტექსტური, წერილობითი კონტექსტური სავარჯიშოების შესრულება და იზოლირებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულზე მუშაობა; ტიპური ლექსიკური სავარჯიშო wrong word out, როცა სიტყვათა სიიდან უნდა გამოირიცხოს ის სიტყვა, რომელიც ამ ჯგუფს რაიმე პრინციპით (თემატიკით, სტრუქტურით) არ შეესაბამება და შეიძლება ფრაზეოლოგიის სწავლებისთვისაც გამოვიყენოთ, მაგალითად:

Find the phrase that is not synonymous to the others:

kick the bucket, drop out, peg out, pass away.

ფსიქოლოგები და ფსიქოლინგვისტები ყველაზე ეფექტურ საშუალებად კონტექსტური სახის სავარჯიშოს შესრულებას თვლიან. ასე, მაგალითად, მონოლოგიური მეტყველებისთვის მოსამზადებელ ეტაპზე სასარგებლოა ჩამოიწეროს, რომელი ნასწავლი ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება გამოადგეს სტუდენტებს. დიალოგიური მეტყველების მოსამზადებელ ეტაპზე, ანალოგიურად, მოცემული ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება სხვა-

დასხვა სიტუაციების შესაბამისობის პრინციპით დაჯგუფდეს.

ფრაზეოლოგიური ერთეულის გამეორება უფრო ნაყოფიერი იქნება, თუ იგი დროშია განაწილებული, ვიდრე კონცენტრირებულად სწავლებისათვის. ამეორების ინტერვალის ზრდასთან ერთად, მატულობს დამახსოვრების სისწრაფე და სიმტკიცე. მოკლე ინტერვალები დაბალი ეფექტურობისაა, ოპტიმალური ინტერვალები კი უდიდესი ეფექტურობით ხასიათდება; ხოლო გრძელი ინტერვალები საშუალოდ ეფექტურია. ამ პრინციპის დაცვა ფრაზეოლოგიის სწავლებისას არცთუ ისე ადვილია, მით უფრო, თუ მხოლოდ ავთენტიკურ ტექსტებს გამოვიყენებთ. ამიტომ, ხანდახან გვიწევს ნასწავლის მსგავსი მიკროტექსტების/მიკროსიტუაციების შედგენა სტუდენტებისათვის, მოცემული ფრაზეოლოგიური ერთეულების დასამახსოვრებლად.

ძირითადად, ფსიქოლოგიური გამოკვლევები ეხებოდა რეცეპტულად ასათვისებელ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. პროდუქტულად ასათვისებელი ერთეულებისათვის ასეთი კვლევები არა გვაქვს, მაგრამ მოპოვებული მონაცემების თანახმად ცნობილია, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დამახსოვრებას ხელს უწყობს სამეტყველო ნიმუშის სხვადასხვა ფრაზეოლოგიური ერთეულებით (ან მისი ერთ-ერთი კომპონენტის) შევსების სავარჯიშოები.

სამეტყველო უნარ-ჩვევების ფორმირებას ემსახურება მეტყველების მოსამზადებელ სავარჯიშოთა ორი ტიპი: I ტიპი – სავარჯიშოები, რომლებიც განკუთვნილია მონოლოგიური და დიალოგიური მეტყველების განვითარებისთვის და II ტიპი – სავარჯიშოები, გათვალისწინებული აუდირებისა და კითხვის უნარ-ჩვევათა განვითარებისათვის.

პროდუქტული ლექსიკური (მათ შორის, ფრაზეოლოგიის საკუთარ მეტყველებაში ჩართვის) ჩვევების ფორმირებისათვის გამოიყენება შემდეგი სახის სავარჯიშოები: იმიტაციური, შენაცვლებითი, მაღიფერენცირებელი და ტრანსფორმაციული.

ფრაზეოლოგიის სწავლებისას შეიძლება გამოვიყენოთ სამი სვეტიდან ფრაზეოლოგიური ერთეულის, მისი

განმარტებისა და ქართული თარგმანის შესატყვისების პოვნა (განმარტებები და თარგმანი არეული თანამიმდევრობითაა მოტანილი), მაგალითად:

to be <i>at</i> loggerheads ¹ with	to be anxious to know	განსხვავებული აზრის ქონა, კამათი
to be <i>on</i> tenterhooks	to fight against sb., to have bad relations with sb	განხეთქილების ეაშლი
to be <i>at</i> odds with	from the very beginning	შეკამათება (შეეკამათო)
a bone of contention – apple of discord	to seize each other, to attack each other, to grapple with each other	დასაწყისიდანვე, პირველივე ნაბიჯიდან
to take issue on / with st.	to begin debate on	შეეჭიდო/შეეჯახო /შეებრძოლო ერთმანეთს
to lay (laid, laid) into each other	to disagree, to quarrel	ეკლებზე ყოფნა
from the word go	st. due to which parties cannot come to agreement	ვინმესთან ცუდი ურთიერთობის ქონა

Keys:

to be *at* loggerheads with – to fight against sb. , to have bad relations with sb. – ვინმესთან ცუდი ურთიერთობის ქონა;

to be *on* tenterhooks – to be anxious to know
ეკლებზე ყოფნა;

to be *at* odds with – to disagree, to quarrel – განსხვავებული აზრის ქონა, კამათი;

a bone of contention – apple of discord st. due to which parties cannot come to agreement – განხეთქილების ვაშლი;

to take issue on / with st. – to begin debate on შეკამათება (შეეკამათო);

to lay (laid, laid) into each other – to seize each other, to attack each other, to grapple with each other – შეეჭიდო / შეეჯახო / შეებრძოლო ერთმანეთს;

from the word go – from the very beginning – დასაწყისიდანვე, პირველივე ნაბიჯიდან.

სავარჯიშოთა აბსოლუტური უმრავლესობა (გარდა მადიფერენცირებული სავარჯიშოებისა) ერთენოვანია. ერთენოვანი სავარჯიშოს შესრულებისას მოსწავლე/სტუდენტ ზეპირი მეტყველების ბეერ ნიმუშს ისმენს და აღადგენს.

ლექსიკური ჩვენების მაფორმირებელი სავარჯიშოთა ეფექტურობისათვის, აუცილებელია მათთვის სამეტყველო მიმართებების მიცემა. მაგალითად, მოიგონეთ ადამიანის სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული გამოთქმები (ასეთი დავალება, რა თქმა უნდა, ენის შემწავლელების მეხსიერებაში არსებული ფრაზოლოგიის გამეორებას უზრუნველყოფს). ამის შემდეგ, შეიძლება მიეცეთ დავალება – შეადგინონ მოკლე დიალოგები ექიმსა და პაციენტს შორის. პირველ დავალებას წმინდა სასწავლო ხასიათი ექნება; მეორე კი შეიძლება სამეტყველო აქტს დამსგავსოს, საამისოდ უზრუნველყოფთ მასალის აზრის შესაბამისობას სინამდვილისადმი.

ფრაზოლოგია შეიძლება თემატურად დაჯგუფდეს. ასე, მაგალითად, შეგვიძლია ვთხოვოთ სტუდენტებს, იპოვონ ერთი თემატური ჯგუფის ფრაზოლოგიური ერთეულები:

Phraseology used to speak about frequency

every so often / on and off / non-stop / time and time again – again and again

every hour on the hour = once in an hour

every so often – each time when

more often than not = quite often

with monotonous regularity – very regularly
 it is not unusual = it is usual
 day in and day out – (almost) every day
 rarely if ever – almost never
 in quick succession – quickly following each other
 once in a while - sometimes
 once in a blue moon – very seldom
 invariably / as regularly as clockwork – constantly, regularly
 on a daily, weekly, fortnightly (once in two weeks), monthly,
 annual basis
 to tend to do st. / to have a tendency to ... / to be prone to ...
 to be liable to ...
 to be in the habit of ...ing
 to set the trend for ...
 It's rare / unusual / uncommon for sb. to do st.

Phraseology used to speak about ability

To be good / bad at _ To have an aptitude / gift / talent for
 To have a knack of doing sth. _ To be reknowned for
 one's expertise in
 To have a head for figures _ To have a nose for gossip
 To have an ear for rhythm / music _ To have an eye for
 detail
 To have a flair for ... (an ability to "smell") _ To have
 an ability / a skill to do sth

Phraseology used to speak about quality

Quality may be abysmal (deep, e.g. abysmal ignorance; total, like in an abyss), atrocious (terrible and severe / strict), inferior (bad, low), mediocre (average), uneven (changeable), patchy (sometimes good and sometimes bad), reasonable (OK, more or less good), prime (first-class) and superlative (very good).

A person's / a machine's qualities / characteristics may be admirable (one that we admire), endearing (causing love and other warm feelings), obvious (easy to notice, doubtful), outstanding, elusive (difficult to distinguish, unclear), redeeming (compensating).

To speak about people especially good at st. (or who achieved an especially high position in st.) we say:

a top ... (lawyer, physician), a leading ... (politician, actor),
a / an prominent / outstanding / eminent ... (writer, scientist), a
natural ... (comedian, singer), a born ... (leader, teacher), a polished
... (performer, musician), a strong ... (swimmer, programmer), etc.

Phraseology used to speak about achievement

She is a has-seen = she has seen / experienced much, she knows much (used ironically).

They are over the hill (their achievements have reached the peak and now are decreasing).

He's heading for a fall (his achievements are going to decline).

He's on the slippery slope / road = he has chosen a dangerous way.

She's a fading talent (her talent is decreasing).

Her powers are waning (decreasing).

He's past it (his success is in the past).

We may admire, give somebody credit (respect) or appreciate (value) somebody's achievement:

He's a high-flyer. She's destined for great things. He is a budding pianist (he's done his first successful steps), promising performer (who is likely to succeed), a rocketing (very fast) success. Her rise to prominence has been meteoric (very fast). His business is thriving (=flourishing).

23. ფრაზეოლოგიის პრეზენტაცია ტექსტამდელ ეტაპზე და უშუალოდ ტექსტზე მუშაობისას

ახალი ფრაზეოლოგიური ერთეულების შემოტანა ტექსტის წაკითხვისწინა ეტაპზე ან თვით ტექსტზე მუშაობისას (მისი კითხვის დროს), ისევე როგორც ახალი სიტყვის პრეზენტაცია, საკუთრივ კონტექსტში უნდა მოხ-

დეს (თხრობის პროცესში, სიტუაციური საუბრისას თუ ცალკეულ წინადადებათა გამოთქმისას). თუ ტექსტი მცირე ოდენობის საკმაოდ გამჭვირვალე ფრაზეოლოგიურ ერთეულს შეიცავს, მათი წინასწარი ახსნა აუცილებელი არ არის. თუ სტუდენტებს შეექმნებათ სირთულე რომელიმე მათგანის სემანტიზაციისას, მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მათ გადაკრული კითხვების დასმით. თუ ტექსტი დიდი ოდენობით შეიცავს გასაგებად საკმაოდ რთულ ფრაზეოლოგიურ ერთეულს, სასურველია მათი ერთად დაჯგუფება იმის მიხედვით, თუ რა გზებითაა მოსახერხებელი მათი სემანტიზაცია და მათი წინასწარი ახსნა ტექსტის წაკითხვამდე. ასეთ სიტუაციაში ურიგო არ იქნებოდა დაბეჭდილ ტექსტში შესასწავლი ფრაზეოლოგიური ერთეულების მსხვილი შრიფტით გამოყოფა. ამ ხერხით ადვილდება წინასწარ შესწავლილ ერთეულებზე კითხვის დროს ყურადღების კონცენტრაცია.

სწავლების ზედა საფეხურზე სტუდენტების სამეტყველო უნარ-ჩვევებისა და ენობრივი ჩვევების მაღალი დონე საშუალებას გვაძლევს ახალი ფრაზები გამოვიყენოთ მაშინვე, საუბრის პროცესში. სიტუაციური საუბარი, რა თქმა უნდა, შესასწავლი ტექსტის გარშემო უნდა წარიმართოს.

ახალი ფრაზეოლოგიური ერთეულის შემოტანას თან სდევს მისი მნიშვნელობის გახსნა, ანუ სემანტიზაცია, სტუდენტამდე მისი მნიშვნელობის დაყვანა, რის გარეშეც ტექსტზე მუშაობა წარმოუდგენელია.

მეთოდისტები განასხვავებენ პასიურად შესათვისებელი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის გახსნის ხერხებს აქტიურისაგან. პირველ ჯგუფს განეკუთვნება ის ხერხები, რომლებიც კითხვის ან მოსმენის პროცესში გამოიყენება. ისინი უზრუნველყოფენ ტექსტის თარგმანგარეშე ან თარგმანით გაგებას ანალიზზე დაყრდნობით (სიტყვათმწარმოებელი კომპონენტების ანალიზი, ლექსიკური ერთეულის ადგილი წინადადებაში და მისი ფუნქცია, კონტექსტი, ლექსიკონის გამოყენება). მაშასადამე, პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სემანტიზაციის ისეთი ხერ-

ხები, რომელთაც სტუდენტი ადვილად იყენებს დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში.

აქტიურად შესათვისებელი ლექსიკური ერთეულების სემანტიზაცია უცხოური ენების სწავლებისას, აგრეთვე სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება. ეს საშუალებები ეყრდნობა ლექსიკური ერთეულების სინტაგმურ (შესიტყვება, წინადადება, აბზაცი, ტექსტი), პარადიგმურ (სინონიმები, ანტონიმები), ლოგიკურ (დეფინიცია, აღწერა) და ენათშორის (თარგმანი) კავშირებს, ისევე როგორც ექსტრალინგვისტურ-დენოტაციურ(საგნობრივ-სურათბრივი თვალსაჩინოება, ჟესტი, მიმიკა, სიტუაცია) მიმართებებს. ამ კავშირებსა და მიმართებებზე დაყრდნობით კი ვღებულობთ ლექსიკური ერთეულების სემანტიზაციის შემდეგ ხერხებს. კერძოდ, ესენია: თარგმნა, თარგმნა-ინტერპრეტაცია (განმარტება მშობლიურ ენაზე), კონტექსტი (შესიტყვება, წინადადება, ზეფრაზული ერთობლიობა, ნაცნობ სიტყვათა გარემოცვა), სინონიმები, ანტონიმები, დეფინიცია, უცხოურ ენაზე საგანთა ან მოვლენათა ჩამოთვლა, სიტყვათმწარმოებელი ელემენტების ანალიზი, ჟესტი, მიმიკა, მოქმედების ჩვენება, საგანების ან სურათების ჩვენება. რა თქმა უნდა, ყველა ამ ხერხის გამოყენება ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობის გასახსნელად არ გამოდგება. მაგალითად, ჟესტი, მიმიკა და მოქმედების ჩვენება, უმეტეს შემთხვევაში, ვერ გახსნის ფრაზეოლოგიური ერთეულის რთულ ბუნებას.

ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის გასახსნელად განვიხილოთ თითოეული ხერხი: თარგმნა, როგორც სემანტიზაციის ხერხი შეიძლება გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, თუ ფრაზეოლოგიურ ერთეულს აქვს ეკვივალენტი მშობლიურ ენაში. მაგალითად: to lay heads together - მოთათბირება; to give as good as one gets-ვალში არდარჩენა, პასუხის გაცემა, as far as I know - რამდენადაც მე ვიცი და ა.შ..

თარგმნა-ინტერპრეტაცია შეიძლება გამოვიყენოთ მაშინ, როცა უცხოურ ენაზე გადმოცემული ინფორმაცია მშობლიური ენისთვის უცნობია. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც უცხოუ-

რი ენის ქვეყნის კულტურის ელემენტებს ეყრდნობა. აქ შევა სოცოკულტურული ინფორმაციის მატარებელი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც შესასწავლი ენის ქვეყნის (ქვეყნების) ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს და ა.შ. გადმოსცემენ. მაგალითად: to cut somebody off with a shilling - მემკვიდრეობის გარეშე დატოვება. ეს ფრაზეოლოგიური ერთეული მომდინარეობს ძველი ინგლისური წეს-ჩვეულებიდან, რომლის თანახმადაც მოანდერძე ადამიანი ქონების გარეშე დარჩენილ პირს ხშირად უტოვებდა ერთ შილინგს, ნიშნად იმისა, რომ ეს იყო წინასწარ განზრახული ქმედება;

კონტექსტის გამოყენებისას ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის გახსნა ხდება კონტექსტის ანალიზზე დაყრდნობით, სხვა ნაცნობი სიტყვების გარემოცვაში. ეს ხერხი, მართალია, დროში ყველაზე არაეკონომიურად ითვლება, მაგრამ, როცა აუცილებელია ფრაზეოლოგიური ერთეულის გამოყენების ჩვენება, იგი სავსებით მისაღებია გამოსაყენებლად, უფრო მეტიც, ის სხვა ხერხებზე ეფექტურია. კონტექსტიდან ამოვარდნილი ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეული შეიძლება სხვა კუთხით იყოს განხილული, ვიდრე თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით, მაგალითად: (to) go to town (by something), ამოვარდნილი კონტექსტიდან, არ იძლევა ადეკვატურ ინფორმაციას განსახილველი ერთეულის სემანტიკაზე, ვინაიდან მისი კომპონენტური შემადგენლობა მნიშვნელობით – „ქალაქში წასვლა (რაიმე ტრანსპორტით)“ განიცდის სრულ გადააზრებას და ფრაზეოლოგიური ერთეულის სახით დებულობს მნიშვნელობას – „რაიმეს კეთება გულმოდგინედ“;

სინონიმებითა და ანტონიმებით ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის გახსნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასახსნელი ფრაზის სინონიმი ან ანტონიმი სტუდენტებისთვის ნაცნობია. მაგალითად: ფრაზეოლოგიური ერთეულის (to) keep one's cool-ის სემანტიზაცია შეიძლება მოხდეს სინონიმური (to) keep one's head ან (to) count on ten-ის, ან კიდევ ანტონიმური (to) lose

one's cool or head ფრაზების მიწოდებით. ამ ხერხის გამოყენებისას უნდა გავეთვალისწინოთ ფრაზის სირთულე და სტუდენტთა შესაძლებლობანი, კერძოდ, მათი ლექსიკური მარაგი.

ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის დეფინიციის, როგორც სემანტიზაციის ხერხის, გამოყენებისათვის აუცილებელია დეფინიციაში შემავალი ყველა სიტყვის მნიშვნელობის ცოდნა. თუმცა, ამ ხერხის გამოყენება ნამდვილად არ არის იოლი, ამასთან, იგი განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება სოციოკულტურული ინფორმაციის მატარებელი ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიზაციისათვის. მაგალითად: Simon Pure – sb who is genuinely what he says he is; sb whose conduct and character are faultless;

ჩამოთვლა, როგორც სემანტიზაციის ხერხი, ახლოს დგას დეფინიციასთან, მაგრამ მისი გამოყენება ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის გასახსნელად, უმეტეს შემთხვევაში, ვერ გამოდგება, ისევე როგორც უესტი, მიმიკა, მოქმედებათა ჩვენება და საგნობრივი თვალსაჩინოება. რაც შეეხება სურათოვან თვალსაჩინოებას, ის შეიძლება გამოვიყენოთ, თუ გვაქვს ასახსნელი ერთეულის ამსახველი ზუსტი სურათი. მაგალითად: don't be chicken. აქ შეიძლება ვაჩვენოთ შეშინებული ადამიანის გამოსახულება, ეთქვათ, ქათმის ფორმით. ამ ხერხის გამოყენება უმჯობესი იქნება უშუალოდ ტექსტზე მუშაობის დროს, პასიურად ასათვისებელი ლექსიკისათვის. სტუდენტი კონტექსტზე დაყრდნობით შეძლებს ამ ფრაზის გადააზრებას.

ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის გახსნის ხერხის შერჩევისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ლინგვისტური ერთეულის ბუნება, თავისებურება, პედაგოგიური (სწავლების პირობები, მიზანი, მოსწავლეთა მომზადების დონე, მეცადინეობისთვის გამოყოფილი დრო) და ფსიქოლოგიური (სტუდენტთა აზროვნების ტიპი) ფაქტორები.

თუ ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის გახსნა აუდიტორიაში ხდება, „გამგვირვალე“ ერთეულების მნიშვნელობის გახსნა სასურველია თვით სტუდენტებმა შეძ-

ლონ (საჭიროების შემთხვევაში – მასწავლებლის მისახვედრი კითხვების მეშვეობით), ხოლო დანარჩენ შემთხვევაში. აუცილებელია სემანტიზაცია მასწავლებელმა განახორციელოს.

2.4. საგარეო მართა კომპლექსი და მისი გამოყენება ანალიზური კითხვის უნარ-ჩვევების ფრაზეოლოგიური ასეპექტის სრულყოფის მიზნით

კითხვა მოსწავლეთა კომუნიკაციურ-შემეცნებითი აქტივობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა. მას ფართო პრაქტიკული გამოყენება აქვს როგორც კულტურის სფეროში, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი ხელს უწყობს კულტურათშორისი კომუნიკაციის გაფართოებასა და მომავალი თაობებისათვის ფასეული ღირებულებების გაცნობას. კითხვა, ინფორმაციის აღქმისა და გადამუშავების აქტიური პროცესია.

კითხვის სწავლება იმიტომაც არის აქტუალური უმაღლეს სასწავლებლებში, რომ თვით კითხვის პროცესში სავსებით წარმატებით ხდება პრაქტიკული, ზოგადსაგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მიზნების რეალიზაცია.

კითხვის საშუალებით უცხოური ენის შემსწავლელი იღრმავებენ საკუთარ ცოდნას, განიმტკიცებენ შესწავლილ მასალას, ძალდაუტანებლად ითვისებენ არსებულ სინტაქსურ სტრუქტურებს, ენობრივ შტამპებს, რასაც მოსდევს ტექსტში ჩადებული სტუდენტისათვის საინტერესო ინფორმაციის სწრაფი და ხარისხიანი გადააზრება. კითხვის ხარისხი დამოკიდებულია ლექსიკის (მათ შორის, ფრაზეოლოგიის) და გრამატიკის ცოდნის ხარისხზე, ეს ექსპერიმენტულადაც დადასტურებულია.

ლექსიკური (კერძოდ, ფრაზეოლოგიური) მასალის დაუფლება დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის სირთულეებთან. დღესდღეობით, პრაქტიკაში აქტიურად შემოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და სპეციალური ტერმინოლოგიური ლექსიკა, რაც უმაღლესი სასწავლებლის

სტუდენტისგან მოითხოვს მის იმ დონეზე ფლობას, რომ კითხვის პროცესში მან შეძლოს ამ ერთეულების არა მარტო ცნობა, არამედ მათი მყესეულად იდენტიფიცირება შესაბამის მნიშვნელობასთან.

მეთოდურ ლიტერატურაში კითხვის სახეები განისაზღვრება წიგნზე (ტექსტზე) მუშაობის და უცხოური ენების სწავლების პრაქტიკული მიზნებითა და თვით კითხვის პირობებით. ანალიზურ კითხვას საფუძვლად უდევს ინფორმაციის მიღების პროცესში კითხვის ფსიქოლოგიური და სააზროვნო ოპერაციების ბუნება, ამასთან, მას აქვს თავისი სუსტი ადგილებიც. მიუხედავად „ანალიზური კითხვის“ სასწავლო დისციპლინად გამოყოფისა, ბუნებრივია, რომ კითხვისას ანალიზის და სინთეზის პროცესი ერთმანეთისგან განუყოფელია. აღნიშნული საგნის სწავლებისას, რასაკვირველია, ენობრივი ანალიზის მიზანად რჩება ტექსტის გაგება, მისი სინთეზი.

ანალიზურ კითხვას, ახსნით კითხვასაც უწოდებენ. მისთვის დამახასიათებელია მასწავლებლის (და მხოლოდ შემდეგ – სტუდენტის) მიერ ტექსტის ენობრივი მასალის დაშლა–დანაწევრება წაკითხულის უკეთესი გაგების მიზნით. ენობრივი მასალის დაშლა მიჩნეულია წაკითხულის გაგების საფუძვლად.

ანალიზური კითხვისათვის განკუთვნილ ტექსტებს, ჩვეულებრივ, ენობრივი ან შინაარსობრივი ხასიათის სიძნელეები ახლავს, და სწორედ მათი დაძლევის უნარ–ჩვევების განვითარებაა კითხვის ამ სახის მიზანი. ანალიზური კითხვა სტუდენტს აჩვენებს ტექსტის გააზრებულად, შეგნებულად გაცნობას. ტექსტში მოცემულ სიძნელეთა დაძლევის საშუალებებია: ანალიზი (გრამატიკული, ლექსიკური, სტილისტური, ეთნოკულტურული, შინაარსობრივი) და რთული ადგილების თარგმნა. ტექსტში შემავალ ფრაზეოლოგიაზე მუშაობისას ყველა ამ სახის ანალიზი სასარგებლოა.

უცხოური ენის შემსწავლელები თავიდანვე უნდა შეეჩვიონ ტექსტის აზრობრივ ანალიზს, მასში ძირითადი შინაარსის გამომხატველ წინადადებათა მოძებნას, ტექსტის აზრობრივ ერთეულებად დაყოფას და ა.შ. კერძოდ,

მათ არ უნდა უჭირდეთ ტექსტიდან ფრაზეოლოგიური ერთეულის, როგორც ერთობლიობის, გამოყოფა და მისი სემანტიზაცია. ასევე, მნიშვნელოვანია, ფრაზეოლოგიური ერთეულის სტილისტური დატვირთვის განსაზღვრა.

ანალიზური კითხვისათვის განკუთვნილ ტექსტში არსებული ფრაზეოლოგიური ერთეულების სრულყოფისათვის შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი სახის დავალებები. მაგალითისთვის მოვიყვანეთ ნაწყვეტი ამერიკელი მწერლის ო. კენრის მოთხრობიდან – „ოცი წლის შემდეგ“:

AFTER TWENTY YEARS

The policeman on the beat moved up the avenue impressively. The impressiveness was habitual and not for show, for spectators were few. The time was barely 10 o'clock at night, but chilly gusts of wind with a taste of rain in them had well nigh depeopled the streets.

Trying doors as he went, twirling his club with many intricate and artful movements, turning now and then to cast his watchful eye adown the pacific thoroughfare, the officer, with his stalwart form and slight swagger, made a fine picture of a guardian of peace. The vicinity was one that kept early hours. Now and then you might see the lights of a cigar store or of all-night lunch counter; but the majority of the doors belonged to business places that had long since been closed.

When about midway of a certain block the policeman suddenly slowed his walk. In the doorway of a darkened hardware store a man leaned, with an unlighted cigar in his mouth. As the policeman walked up to him the man spoke up quickly.

"It's all right, officer," he said reassuringly. "I'm just waiting for a friend. It's an appointment made twenty years ago. Sounds a little funny to you, doesn't it? Well. I'll explain if you'd like to make certain it's all straight. About that long ago there used to be a restaurant where this store stands – "Big Joe Brady's restaurant".

"Until five years ago", said the policeman. "It was torn down then".

"The man in the doorway struck a match and lit his cigar. The light showed a pale, square-jawed face with keen eyes, and a little white scar near his right eyebrow. His scarf pin was a large diamond, oddly set.

"Twenty years ago tonight" said the man, "I dined here at 'Big Joe Brady's' with Jimmy Wells, my best chum, and the finest chap in the world. He and I were raised here in New York, just like two brothers, together. I was eighteen and Jim was twenty. The next morning I was to start for the West to make my fortune. You couldn't have dragged Jimmy out of New York; he thought it was the only place on earth. Well, we agreed that night that we would meet that night here again exactly twenty years from the date and time, no matter what our conditions might be or from what distance we might have to come. We figured that in twenty years each of us ought to have our destiny worked out and our fortunes made, whatever they were going to be."

"It sounds pretty interesting," said the policeman. "Rather a long time between the meets, though, it seems to me. Haven't you heard from your friend since you left?"

